გაზეთი ზიარის. „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№25 (1615) 29 ივნისი — 5 ივლისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ისტორიაში პირველად, სიქსტეს კაპელაში, ქართული საგალობლები აჟღერდა

3 ივლისი — რეალურად „შინ, ევროპისკენ“ თუ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ ფეიკ-რიმეიკი

რატომ იქცა ივნის-ივლისი ქართული პოლიტიკის „აქილევსის ქუსლად“

რას ნიშნავს ევროპული პერსპექტივა — თემურ ბასილიას განმარტებები

„ხაზგასმით ვამბობ, რომ საქართველოს ომში ჩაბმა ეროკავშირსა და აშშ-დან არავის მოუთხოვია!“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იაგო ხვიჩია: „3 ივლისის აქციის მოთხოვნები არასერიოზულია და ორგანიზატორებმა ბოდიში მალე მოიხადონ!“

„ამათ ძალაუფლების ჩაგდება უნდათ და სერიოზულად როგორ ველაპარაკო ევროინტეგრაციაზე“

„ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, გავაკეთებ მაქსიმუმს, რომ უფრო მეტად დაფასებული იყოს, გავაძლიეროთ ჩვენი ჯარი და გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა!“

ირაკლი ღარიბაშვილი დაჭრილ-დაშავებული მებრძოლების კვირეულის გახსნის ღონისძიებას დაესწრო

„ჩემთვის დიდი პატივი იყო, მემსახურა თქვენთან ერთად, მინისტრის რანგში, ახლა კი, უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში, კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩემს პატივისცემასა და მოკრძალებას. ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, გავაკეთებ მაქსიმუმს, იმისთვის, რომ უფრო მეტად დაფასებული იყოს, გავაძლიეროთ ჩვენი ჯარი და გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა! ღმერთმა დალოცოს ჩვენი საქართველო და ჩვენი ჯარი!“ – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა წეროვანში, დაჭრილ-დაშავებული მებრძოლების კვირეულის გახსნის ღონისძიებაზე შეკრებილ ჯარისკაცებს.

მთავრობის მეთაურმა დაჭრილ და დაშავებულ ჯარისკაცებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მათ ყველაზე მეტი გააკეთეს საქართველოსთვის.

„მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო, ბატონო თავდაცვის მინისტრო, თავდაცვის ძალების მეთაურო, ბატონო გენერლებო, ოფიცრებო, ძვირფასო სტუმრებო!

მივესალმები აშშ-ის ელჩის მოადგილეს, ჩვენს პარტნიორებს, ჩვენს გმირ ჯარისკაცებს, ჩვენს გმირ მეომრებს, ყველას მოგესალმებით, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე!

ჩვენს დაჭრილ და დაშავებულ სამხედროებს, ჩვენს დაუმარცხებელ სამხედროებს მივესალმები კიდევ ერთხელ, მინდა, როგორც მთავრობის მეთაურმა და როგორც რიგითმა ქართველმა, გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი თავგანწირვისთვის, თქვენი თავდადებისთვის. შეიძლება, ემოციურად გითხრათ, მაგრამ აბსოლუტურად გულწრფელი ვარ, თქვენ ყველაზე მეტი გააკეთეთ ჩვენი ქვეყნისთვის, ყველაზე ძვირფასი – საკუთარი ჯანმრთელობა გასწირეთ ჩვენი სამშობლოსთვის, ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი შვილების უკეთესი მომავლისთვის. ასე რომ, კიდევ ერთხელ, მინდა, დიდი პატივისცემა დაგიდასტუროთ, დიდი პატივია ჩემთვის, თქვენ წინაშე გამოსვლა.

ჩვენ, პატარა ქვეყანამ და ძალიან ძლიერმა ხალხმა, ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ მსოფლიო თანამეგობრობისთვის, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისთვის, საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისთვის, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და ამ ბრძოლაში, ყოველთვის ვიყავით და ვართ გულწრფელნი, ყოველთვის ვაკეთებდით და ვაკეთებთ იმას, რისიც გვჯერა და გვწამს. ეს არ ყოფილა მხოლოდ რაღაც ცალმხრივი ვალდებულება ჩვენი მხრიდან აღებული, არამედ, ეს იყო ძლიერად ჩამოყალიბებული აზრი, მოტივაცია იმისა, რომ ჩვენ, საქართველოსა და ქართველებს, გვსურს ჩვენი კონტრიბუცია შევიტანოთ მსოფლიოში მშვიდობისა და წესრიგის დამყარებაში და ჩვენ ეს არაერთგზის გავაკეთეთ, დავამტკიცეთ. სხვა დიდ ერებთან შედარებით, გამორჩეული კონტრიბუცია გვქონდა ყველგან, იქნებოდა ეს ერაყი, ავღანეთი, კოსოვო, ცენტრალური აფრიკა და ყველგან, თქვენ, ძვირფასო მეომრებო, ჩვენო საამაყო ჯარისკაცებო, ყოველთვის სასახელოდ, ამაყად წარმოაჩინეთ ჩვენი დიდი ცივილიზაციისა და დიდი კულტურის მქონე ქვეყანა, ჩვენი საქართველო.

ჩვენ ამ ომებში, ძვირფასო მეგობრებო, არაერთი სისხლი გავიღეთ, 35 გმირი ჯარისკაცი შეეწირა ამ იდეას, იდეას, რომელიც უკავშირდება მსოფლიოში წესრიგის დამყარებას, საერთაშორისო უსაფრთხოებას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და ა.შ. ასეულობით ჩვენი გმირი ჯარისკაცი უმძიმესად დაიჭრა, მათ სამუდამოდ გაიღეს ჯანმრთელობა, შესწირეს საკუთარი ყველაზე ძვირფასი – ზოგმა სიცოცხლე, ზოგმა ჯანმრთელობა“, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, საქართველო იმსახურებდა მეტს და თუ ვინმე იმსახურებდა ასოცირებულ ტრიოში ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსს, იმსახურებდა ჩვენი ქვეყანა. თუმცა, გასაგებია ისიც, რომ დღეს მსოფლიოში სხვა კონიუნქტურაა, სხვა, ძალიან რთული პროცესები მიმდინარეობს, რასაც ქვეყანა მშვიდად უნდა შეხვდეს და განაგრძოს წინსვლა.

„კიდევ ერთხელ, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე. ჩვენ თქვენთან ვალში ვართ და ამ ვალს ვერასოდეს გადავიხდით, რაც არ უნდა გააკეთოს მთავრობამ და ნებისმიერმა მთავრობამ, ნებისმიერმა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრმა თუ პრეზიდენტმა, ჩვენ ყოველთვის, თქვენ წინაშე ვალში ვართ. ეს არ არის შემთხვევითი სიტყვები და ეს არ არის იმისთვის, რომ ვინმეს თავი მოვაწონოთ. ეს ჩვენი ვალდებულებაა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ საკმაოდ ემოციური დღეებია და მინდა, გაგიზიაროთ ჩემი ხედვა კიდევ ერთხელ – ამის თაობაზე, საჯაროდაც ვისაუბრე და საჯაროდ გამოვთქვი ჩემი გულისტკივილი. ერთ-ერთი გამოკვეთილი არგუმენტი ჩვენი ქვეყნის, საქართველოსი, რის გამოც ჩვენ უფრო მეტს ვიმსახურებდით და ასეთი მოქცევა არ შეიძლებოდა და იყო უსამართლო, სწორედ ის ფაქტებია, რომლებიც მე ჩამოვთვალე – ჩვენ მიერ გაღებული სისხლი, ჩვენი ბრძოლა, ომი. ჩვენ სამჯერ ვიომეთ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა, 2008 წელს, თქვენ, ჩვენმა ჯარმა აჩვენა სამაგალითო გმირობა. ჩვენ არავის ჯარს არ ვედრებით, მაგრამ ქართველები ორი მთავარი ძალით მოვედით, ეს არის ჩვენი რწმენა, სარწმუნოება, ეკლესია და ჩვენი ჯარი, ჩვენი ხალხი, ჩვენი მეომარი სული. დღეს, სამწუხაროდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. რა თქმა უნდა, მე არავის წარმატება არ მშურს, პირიქით, მიხარია უკრაინელების წარმატებაც, მოლდოველებისაც და ყველასი, მაგრამ საქართველო იმსახურებდა მეტს და თუ ვინმე იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს ამ სამი ქვეყნიდან, ვიმსახურებთ ჩვენ. გასაგებია, მეგობრებო, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ დღეს, მსოფლიოში სხვა კონიუნქტურაა, სხვა, ძალიან რთული პროცესები მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში, მაგრამ ჩვენ ამას მშვიდად უნდა შევხვდეთ და გავაგრძელოთ წინსვლა, ჩვენი ქვეყნის გაძლიერება, ჩვენი ჯარის გაძლიერება, ჩვენი ქვეყნის დაცვა, ჩვენი ხალხის დაცვა და ჩვენი მთავარი ოცნება, რომ ყველა, ერთ დღეს და ეს დღე, რაც შეიძლება მალე უნდა დადგეს, შევხვდეთ გაერთიანებულ, ერთიან, ძლიერ საქართველოში, აი, ეს უნდა იყოს მთავარი გამაერთიანებელი იდეა ჩვენი ერისა და ჩვენი ხალხისა.

მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებულ შტატებს, საელჩოს წარმომადგენლობას, სამხედრო ატაშეს, ყველას, ვინც გულწრფელად ეხმარებით ჩვენს ჯარს, ჩვენი ჯარის გაძლიერებას და მრავალი წელია, ჩართულები ხართ ამ რეფორმირების პროცესში. თუნდაც ეს არაჩვეულებრივი ცენტრი, სწორედ ამერიკის მთავრობის დაფინანსებით და ჩვენი თანადაფინანსებითაა გაკეთებული. ამისთვის, კიდევ ერთხელ, მადლობა მინდა გადაგიხადოთ და ყველა ჩვენს პარტნიორს, ვინც გულწრფელად ეხმარება ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ჯარს“, – აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს თავდაცვის მინისტრმა და აშშ-ის ელჩის მოადგილემ.

ჯუანშერ ბურჭულაძემ დაჭრილ-დაშავებული მებრძოლების სოციალური დაცვის გარანტიებზე გაამახვილა ყურადღება. მისი განცხადებით, სახელმწიფო სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისთვის არაერთ პროექტს ახორციელებს და მუდმივად ზრუნავს შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის გაუმჯობესებაზე.

სიტყვით გამოსვლების შემდეგ, სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიაზე, პირველი სპორტული ღონისძიება გაიმართა. დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები ერთმანეთს ველორბოლაში შეეჯიბრნენ.

კვირეულის ფარგლებში, შეჯიბრებები გაიმართება კალათბურთში, სხვადასხვა დისტანციაზე სირბილში, სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და პარასპორტის სხვადასხვა სახეობაში. ღონისძიებების ფარგლებში, ღია კარის დღე გაიმართება დაჭრილი სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. დაგეგმილია სამხედრო ტექნიკის გამოფენა და გასართობი პროგრამა ბავშვებისთვის.

30 ივნისი, დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების დღეა. კვირეულის გახსნის ოფიციალური ღონისძიება მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეების სარეაბილიტაციო ცენტრში გაიმართა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაწესებულ დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების დღეს 2021 წლიდან აღნიშნავს.

3 ივლისი – რეალურად „შინ, ევროპისკენ“ თუ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ ფეიკ-რიმეიკი

ნინო დოლიძე

რატომ იქცა ივნის-ივლისი ქართული პოლიტიკის „აქილევსის ქუსლად“

ივნის-ივლისი ქართული პოლიტიკისთვის ერთგვარ „აქილევსის ქუსლად“ იქცა: ჯერ იყო და, 2018-ში, „ბასიანში“ ჩატარებული შემოწმების გამო, ახალგაზრდობა გამოვიდა ქუჩაში. მაშინ ამ მღელვარების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება ოპოზიციამ სცადა, თუმცა ყველაფერი იმდროინდელი პრემიერის „მინდა, დავიწყოთ ბოდიშით“ დამთავრდა. 2019 წლის ივნისიც ხმაურიანი აღმოჩნდა – ამჯერად, ხალხი ქუჩაში გავრილოვის ვიზიტმა გამოიყვანა. აღსანიშნავია, რომ 2019-შიც, პრემიერი გიორგი გახარია იყო, თუმცა წინა წლის ივნისისგან განსხვავებით, „გავრილოვის ღამე“ პირადად ექსპრემიერის რეზიუმეში სისხლიანი ასოებით ჩაიწერა. 2020-ის ივნისში არაფერი მომხდარა. აი, შარშანდელი ივნის-ივლისი კი ნამდვილად შავი ლაქაა – ჰომოფობიური და პრორუსული ჯგუფები თავისუფლებისმოყვარე ახალგაზრდებსა და ასევე, ჟურნალისტებზე დაგეშილი მგლებივით ნადირობდნენ.

სხვათა შორის, ქართული ზნეობის დამცველები შეკრებას წელსაც აანონსებენ ანუ „ალტ ინფომ“ საკუთარ მხარდამჭერებს მოუწოდა, რომ 2 ივლისს, პარლამენტის წინ, ქუდზე კაცი გავიდეს და „თბილისი პრაიდის“ ჩატარებას წინ აღუდგეს. არადა, ამ პრაიდს არავინ ატარებს და ეს „ალტინფოელები“ ქუჩაში რისთვის გადიან, გაუგებარია, თუმცა გასაგებია – მათი აქტიურობა რუსულ ნარატივს ჰგავს ანუ ჩრდილოეთს ყოველთვის ხელს აძლევდა, რომ ჩვენს ქვეყანაში შიდა კონფლიქტები ყოფილიყო. ასეთ დროს, კრემლი საკუთარ მიზნებს გაცილებით იოლად აღწევს. შიდა დაპირისპირების გასაღვივებლად კი ოფიციალური მოსკოვი სხვადასხვა თემას იყენებს. აი, მაგალითად, 90-იან წლებში, როცა ე.წ. ინტელიგენცია ეროვნულ ხელისუფლებას აუმხედრდა, საბაბი პირველი პრეზიდენტის ვითომ დიქტატორობა გახდა. ახლა კი, როცა ცხოვრება შეიცვალა, ერში შუღლის გასაღვივებლად, ყველაზე კარგი „ფეიკი“ ევროპაა, აი, ევროპა ქართველობას გვართმევს და გვრყვნისო.

ჰოდა, მოსახლეობის ნაწილიც რუსულ პროპაგანდას ახლაც ისე წამოეგო, როგორც 90-იანებში, თუმცა სიმართლე რომ ითქვას, თავისი პროპაგანდა დასავლეთსაც აქვს ანუ პრო-ებად გაყოფილი საქართველოს მოსახლეობა ცდილობს, მოწინააღმდეგე საკუთარი შეხედულების უალტერნატივობაში დაარწმუნოს.

საკუთარი აზრის დაცვა, ცხადია, კარგია, მაგრამ ისიც თვალნათელია, რომ საქართველოს გზა და ხსნა ჩრდილოეთში კი არა, მხოლოდ დასავლეთშია. შესაბამისად, ნარატივი, „ევროპა გვრყვნის და ქართველობას გვართმევს“, ისეთივე ბლეფია, როგორც მაგალითად, იმის მტკიცება, რომ თუ იმ ყავას დავლევთ, რომელშიც სიგარეტის ფერფლი ჩავარდა, აუცილებლად მოვკვდებით!

ისე, მითები იქით იყოს და, 3 ივლისის აქცია კარსაა მომდგარი. ზოგი თვლის, რომ ასეთი აქცია საქართველოში არასოდეს ჩატარებულა ანუ იმაზეა ლაპარაკი, რომ პროტესტის ავანგარდში, პოლიტიკოსები კი არა, ე.წ. სამოქალაქო სექტორის წარმომადგნლები დგანან. არიან თუ არა ეს ადამიანები რომელიმე პარტიასთან აფილირებულნი? – ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, თუმცა დაანონსებული აქცია რომ თავიდან ბოლომდე პოლიტიკურია, ეს ნათელია.

უფრო მეტიც, სცენარი, დაახლოებით, ისეთია, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ რომ იყო – ყველას თუ არა, ბევრს გემახსოვრებათ, 2003-ის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, გაყალბების მოტივით, მაშინდელი ოპოზიცია, კერძოდ, ზურაბ ჟვანიას გუნდი, ქუჩაში გამოვიდა. საპროტესტო განწყობა ენმ-ს თავიდან არ ჰქონდა, უფრო სწორად, მიხეილ სააკაშვილი ამბობდა, რომ მეორე ადგილზე ასლან აბაშიძის „აღორძინება“ კი არა, არამედ, თავად გავიდა და ითხოვდა, რომ შევარდნაძის ხელისუფლებას მისთვის კუთვნილი მეორე ადგილი მიეცა, თუმცა მოგვიანებით, ყველაფერი შეიცვალა – ზურაბ ჟვანიამ ფილარმონიაში შეკრებილი თანამოაზრეები პარლამენტისკენ დაძრა. პროტესტანტებს გზად ენმ-ც შეუერთდა და საკანონმდებლო ორგანოს წინ, აქცია გაიმართა.

აქციაზე ცხონებულმა ზურაბ ჟვანიამ ხელისუფლებას მიმართა, თუ გინდათ მილიონი გაბრაზებული ადამიანი, თქვენ ამ მილიონ გაბრაზებულ ადამიანს და რევოლუციას მიიღებთო და „მოქკაშირს“, ლამის, ერთთვიანი ვადა მისცა ანუ ოპოზიცია რეგიონებში გაიფანტა და დააანონსა, რომ 20 თუ 21 ნოემბრისთვის, დედაქალაქში გაბრაზებული ადამიანები ყველა კუთხესა და რეგიონიდან ჩავიდოდნენ.

ამის მერე, რაც მოხდა, ბავშვმაც კი იცის – ვნახეთ მანქანების ჯაჭვი მცხეთის ჯვართან და... ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ედუარდ შევარდნაძე „სახლში წავიდა“.

რატომ გავიხსენეთ ყველაფერი ეს? – თუ კარგად დავაკვირდებით, 3 ივლისის აქციის ორგანიზატორები 19 წლის წინანდელ სცენარს ერთგვარად იმეორებენ ანუ 24 ივნისის შეკრებაზე, „სირცხვილიამ“ ხელისუფლებას ერთკვირიანი ვადა მისცა და განაცხადა, ამ ერთ კვირას იმისთვის გამოვიყენებ, რეგიონებში ვიარო და ხალხი დავარწმუნო, ევროპა ჩრდილოეთზე უკეთესიაო.

ევროპა რომ რუსეთზე უკეთესია, ეს ხალხმა „სირცხვილიას“ გარეშეც იცის – ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე წლის წინ, რეფერენდუმზე გამოხატა მოსახლეობამ საკუთარი ნება და ჩვენს კონსტიტუციაშიც წერია, რომ ქვეყნის მთავარი საგარეო მიზანი ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებაა. აქედან გამომდინარე, აბა, რას ემსახურება 3 ივლისის აქციის ორგანიზატორების სოფელ-სოფელ სიარული, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ულტიმატუმად პრემიერის გადადგომა და ე.წ. ტექნიკური მთავრობის შექმნაა წაყენებული?

სხვათა შორის, მმართველი გუნდი ვარაუდობს, რომ ზემოხსენებულ ადამიანებს, პირდაპირ თუ ირიბად, ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევა უნდათ. შესაძლოა, არც უამისობაა, თან „ოცნება“ ე.წ. ბაკურიანის გეგმაზე საუბრობს.

„ამ შეკრებაზე გამოვიდა საზოგადოება, რომელსაც უნდა ევროპა. როგორც მოგეხსენებათ, ევროპა უნდა ბევრად მეტს, ვიდრე თუნდაც გუშინ იყო გამოსული. გუშინ, ბევრი ადამიანი იყო რუსთაველზე გამოსული, თუმცა საქართველოში, დამატებით 3 მილიონი და მეტი ადამიანია, რომელიც მხარს უჭერს ევროპას. ეს არის საქართველოს მოსახლეობის 85%.

ამასთან, ევროინტეგრაციის მიზანი პირდაპირაა დაფიქსირებული საქართველოს კონსტიტუციაში. გასული კვირების განმავლობაში, გვიტრიალებენ იმ მუხლს, რომელიც ჩვენი ხელით ჩავწერეთ კონსტიტუციაში და ამ ადამიანებმა ხმა არ მისცეს – ცინიზმი აქაა და ვინაა ევროპის მომხრე რეალურად და ვინ – არა, აქედან კარგად ჩანს.

გუშინ, დიდი ხანი ითმინეს აქციის ორგანიზატორებმა – პოლიტიკურ გზავნილებს არ აჟღერებდნენ, რათა ხალხი არ დაშლოდათ, მაგრამ ბოლოს მაინც გაახმოვანეს ბაკურიანის გეგმა. გეგმა, რომელიც ითვალისწინებს „შულავერის კომიტეტის“ გამომზეურებას და რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის წალეკვას. ეს იყო ტერმინი, რომელიც გამოიყენა „სირცხვილიას“ ერთ-ერთმა ლიდერმა. სააკაშვილისა და დიღმელაშვილის წასალეკი ქვეყანა არ გვაქვს! ქვეყნის წალეკვის მორიგი მცდელობაც წარუმატებლად დასრულდება, საქართველოში იქნება მშვიდობა, ეკონომიკური წინსვლა, რის გარეშეც ევროპაში ვერ შევალთ“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ 20 ივნისის აქციის მეორე დღეს, პარლამენტში, სიტყვით გამოსვლისას.

ცნობილია, რომ ერთ მდინარეში ორჯერ არ შედიან. ასე რომ, დესტაბილიზაციის სცენარიც, თუ ასეთი რეალურად არსებობს, ვერ იმუშავებს, თანაც ამ ქვეყანაში ერთი ადამიანიც კი არ მოიძებნება, რომელიც იტყვის, დიახ, არეულობა მინდაო.

იაგო ხვიჩია: „3 ივლისის აქციის მოთხოვნები არასერიოზულია და ორგანიზატორებმა ბოდიში მალე მოიხადონ!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ამათ ძალაუფლების ჩაგდება უნდათ და სერიოზულად როგორ ველაპარაკო ევროინტეგრაციაზე“

3 ივლისს, თბილისში, აქცია – „შინ ევროპისკენ“ გაიმართება. როგორც აქციის ორგანიზატორები სამოქალაქო სექტორიდან აცხადებენ, 20 და 24 ივნისის აქციების შემდეგ, დედაქალაქს გასცდებიან და მთელი საქართველოს მასშტაბით გაესაუბრებიან ხალხს, რათა აქციაზე მისვლის მნიშვნელობაში დაარწმუნონ. მას შემდეგ, რაც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მხოლოდ მოლდოვასა და უკრაინას მიენიჭა, საქართველოს კი 12-პუნქტიანი გეგმა გადაეცა, რომელთა შესასრულებლად დრო ხელისუფლებას წლის ბოლომდე მიეცა, 20 და 24 ივნისს, რუსთაველზე, უპრეცედენტო რაოდენობის ხალხი შეიკრიბა. აქცია იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებამ იმის მტკიცებაც კი დაიწყო, დემონსტრაციაზე ჩვენი მხარდამჭერებიც იყვნენო... საბოლოოდ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენეს და ვადა 3 ივლისამდე მისცეს. მათი მოთხოვნებია – გადადგეს პრემიერ-მინისტრი და დაინიშნოს ეროვნული თანხმობით დაკომპლექტებული დროებითი მთავრობა. მართალია, აღნიშნული აქციების ავანგარდში სამოქალაქო სექტორი დგას, მაგრამ ყველა პროდასავლური პარტია, როგორც ამბობენ, ორგანიზატორების გვერდითაა, გარდა გირჩისა, რომლის ლიდერი იაგო ხვიჩია აცხადებს, რომ ორგანიზატორების მიერ ხელისუფლებისთვის წაყენებული მოთხოვნები არასერიოზულია. „ვერსია“ იაგო ხვიჩიასთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– მოთხოვნები არასერიოზულია და, უბრალოდ, იმედს უცრუებს იმ ადამიანებს, რომელთაც ეძახიან აქციაზე. არასერიოზულია ორივე ნაწილში – პრემიერის გადადგომისა და „ენჯეოშნიკებისგან“ დაკომპლექტებული დროებითი მთავრობის საკითხშიც.

– რატომ მიგაჩნიათ არასერიოზულად ეს მოთხოვნები?

– მთელი კამპანიაა ნაწარმოები წლების განმავლობაში, რომ პრემიერი ნომინალური ფიგურაა, ის წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილს და არ ფლობს რეალურ ძალაუფლებას, შესაბამამისად, წარმომადგენლის გათავისუფლებას რომ ითხოვ და მიიჩნევ, ეს არის კრიზისის განმუხტვის გზა, არასერიოზულია. მით უმეტეს, რომ პრემიერ-მინისტრები ძალიან მარტივად იცვლებია, რასაც შედეგი არ მოჰყოლია და მაინც ამას ითხოვენ, არადა, იციან, რომ ძალაუფლების წყარო სხვაგანაა და არა – პრემიერ-მინისტრთან...

რაც შეეხება დროებითი მთავრობის მოთხოვნას, საქართველოში მთავარი პრობლემაა ნდობის დეფიციტი. 30 წლის განმავლობაში, სახალხო მთავრობა ვერ ავირჩიეთ და ახლა, ყველაზე დაბალი ნდობის მქონე ინსტიტუციას, არასამთავრობო სექტორს, რატომღაც ავალებენ, დააკომპლექტონ სახალხო მთავრობა გადამწყვეტ ეტაპზე. ეს იმდენად არასერიოზულია, რომ ამ საზოგადოებრივ პროტესტს პატივს არ სცემენ და სთხოვენ, ისინი მოიყვანონ ხელისუფლებაში, ყოველგვარი ლეგიტიმაციის გარეშე. რაც უფრო მალე მოიხდიან ბოდიშს აქციის ორგანიზატორები ამ არასერიოზულობისთვის, უკეთესი იქნება.

– თუ ასეა, რა გიშლით ხელს ოპოზიციას, რომ ჩადგეთ ამ პროცესების ავანგარდში?

– ყველა ადამიანს, ვინც აქციაზეა, სხვადასხვანაირად ესმის ევროინტეგრაცია, შესაბამისად, ეს ხალხი იქ მივიდა კონკრეტული მიზნით – საქართველოს ევროპული მომავლის დასაცავად. თუმცა, ეს ზოგადი პრინციპია და ამას სჭირდება ჩაშლა, რაც პოლიტიკოსებმა უნდა გააკეთონ და განიმარტოს, როგორ ვხედავთ ჩვენ, პოლიტიკოსები ამ ამბავს და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ტრიბუნასთან ასვლა, რათა ხალხს ვუთხრათ, რა გვინდა. ახლა კი იმდენად აჭრილია პოლიტიკური სპექტრი, რომ პოლიტიკოსები საერთოდ არ ჩანან და ტრიბუნასთან დგას ის ხალხი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა, შლიან ამ აქციას ნელ-ნელა. არ მინდა, რომ ამაში მონაწილეობა მივიღო. მას შემდეგ, რაც ადამიანებისთვის ცხადი გახდება, რომ აქციის ორგანიზატორებმა დააზიანეს ეს პროცესი, ნიჰილიზმი გაჩნდება და მე არ მინდა, ამაზე პასუხისმგებლობა ავიღო.

– რატომ არ სხდებით ოპოზიციური პარტიები ამ საკითხზე კონსულტაციებისთვის ერთ მაგიდასთან, რა გიშლით ხელს?

– იმიტომ, რომ პარტიებს სალაპარაკო არაფერი აქვთ...

– ევროკავშირში ინტეგრაცია ხომ თქვენი, პროდასავლური პარტიების საერთო ინტერესია?

– არა, ეგრე ხომ არ ხდება? რას ნიშნავს, საერთო ინტერესი... ვის როგორი ქვეყანა უნდა, ამას ვერ ამბობს ვერავინ, არც ერთ პარტიას ეს არ აქვს ნათქვამი, ჩვენ გარდა. არსებობს სულ სამი იდეა: „გაუმარჯოს მიშას“, „გაუმარჯოს ბიძინას“ და „გაუმარჯოს თავისუფლებას“. ამ უკანასკნელს ჩვენ ვყვირით, შესაბამისად, „გაუმარჯოს მიშას“ და „გაუმარჯოს ბიძინას“ ხალხს ევროინტეგრაციაზე არაფერი აქვს სათქმელი...

– შარლ მიშელის მოლაპარაკებებში ხომ აქტიურად იყავით ჩართული? მაინცდამაინც, დასავლეთიდან უნდა ჩამოვიდეს ვინმე, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა ერთ მაგიდასთან დასხდომა და საუბარი შეძლოთ?

– და შეძლეს შეთანხმება, როცა ევროპელები ჩამოვიდნენ?

– ეს ცალკე განსჯის საკითხია...

– კი, მაგრამ ეს მაგალითი აჩვენებს, რომ შარლ მიშელმაც კი ვერაფერი შეძლო და ამ შემთხვევაში, მე დავიწყო საუბარი გაუაზრებლად ამ პოლიტიკურ სპექტრთან, რომელსაც აქ ჩამოსულმა შარლ მიშელმა ვერაფერი გადააწყვეტინა? ამათ სერიოზულად როგორ ველაპარაკო ევროინტეგრაციაზე? მათ ხომ ეს არ უნდათ? ამათ ხომ ძალაუფლების ჩაგდება უნდათ ხელში და არა – ევროინტეგრაცია?! ევროინტეგრაცია თუ გინდა, ამისთვის უნდა გქონდეს იდეა, რისთვისაც ეძახი ხალხს. ამ იდეის ქმნადობის პროცესი კი არც ხელისუფლებაში, არც ოპოზიციაში და არც სამოქალაქო სექტროში არ მიმდინარეობს. ყველას უნდა, რომ ღრმა გაანალიზების გარეშე მიაღწიოს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების შედეგს. ადამიანები კი ასე არ ენდობიან...

– თუ ასეა, თქვენეული ხედვა როგორია? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ პროცესი სწორად წარიმართოს და ეს უამრავი ხალხი სახლში არ შებრუნდეს?

– სწორი მოთხოვნებია საჭირო. უნდა გესმოდეს, რომ თუ გინდა მთავრობის დაკომპლექტება, ამისთვის საჭიროა არჩევნები და უნდა გააკეთო ყველაფერი, რათა არჩევნები ჩატარდეს, ოღონდ ისე, რომ აზრი ჰქონდეს. არჩევნებს კი აზრი ექნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება საკონსტიტუციო ცვლილებები...

– და ბარიერი დაიწევს, არა?

– კი, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი არის იმ ნორმის გაუქმება, 2024 წელს, არჩევნები მაინც რომ უნდა ჩატარდეს. აზრი არ აქვს, ყოველ წელს არჩევნების ტარებას. ამ პარლამენტს რომ არაფერი ეშველება, ეს ფაქტია. ზოგადად, ამ მთავრობამ ჩააგდო ევროინტეგრაციის პროცესი და ცხადია, თუ გვინდა, რომ რამემ ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანოს, ეს არის ახალი არჩევნები, რათა გავაგრძელოთ ევროინტეგრაციის პროცესი იმ ხალხმა, რომლებიც ამ არჩევნების შედეგად მივიღებთ ხელახალ ლეგიტიმაციას. ეს სათქმელი, რომელიც შეგვიძლია, ევროპელ პარტნიორებს ვუთხრათ, იქნება სერიოზული და ამას უნდა ითხოვდეს არასამთავრობო სექტორი.

– გასაგებია, მაგრამ რამდენად რეალურია, რომ „ოცნება“ საკონსტიტუციო ცვლილებებსა და ვადამდელ არჩევნებზე დაითანხმოთ?

– „ოცნება“ დათანხმდება იმას, რაზეც ქართველი ხალხის ნამდვილი ზეწოლა და მოთხოვნა იქნება. ჩვენ თუ ადამიანებს დავანახეთ, რომ ესაა გამოსავალი, მაშინ მჯერა, რომ ამ აქვეყანაში ევროინტეგრაცია ბევრ ადამიანს უნდა და ჩვენ ვართ ევროპული ქვეყანა, მაგრამ თუ ამ ძალიან გულწრფელ და სწორ პროტესტს არაფერში ვთარგმნით და უბრალოდ, ვიტყვით, რომ „ენჯეოები“ უნდა მოვიყვანოთ ხელისუფლებაში და ღარიბაშვილი უნდა გადადგეს, ეს იმდენად არასერიოზულია, რომ ადამიანები ამ ორგანიზატორებისა და პროცესის მიმართ, დარჩებიან იმედგაცრუებული და არ მინდა, ამ პროცესში მონაწილეობით, რეპუტაცია შევილახო.

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია არ უნდა გათამამდეს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„დიდ მოთამაშეებს შორის კომპრომისი საქართველოს კი არა, უკრაინის საკითხზე უფრო მოხდება!

20 და 24 ივნისს, რუსთაველის გამზირზე უპრეცედენტო რაოდენობის ხალხი გამოვიდა. ამ აქციებს ზოგი 1989 წლის აპრილის მოვლენებს ადარებს. აქ „თავების დათვლა“ აზრადაც არავის მოსვლია, რადგან ისედაც თვალნათლივ ჩანდა, რომ დედაქალაქის მთავარ გამზირზე გამოსული ათიათასობით ადამიანი ქმნიდა მუხტს, რომელიც ბოლო 30 წელია, საქართველოში არავის უნახავს. 20 და 24 ივნისს, საქართველოს მოსახლეობა ქუჩაში იმის დასამტკიცებლად გამოვიდა, რომ ჩვენ – ქართველი ერი ვირჩევთ ევროპას და უკრაინისა და მოლდოვის მსგავსად, ჩვენც ვიმსახურებთ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. სამოქალაქო მოძრაობამ – „შინ ევროპისკენ“ მორიგი მასშტაბური აქცია 3 ივლისისთვის დააანონსა. მანამდე კი, როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს, მთელი ქვეყნის მოსახლეობას შეხვდებიან, რათა საპროტესტო მუხტი გაცილებით მასშტაბური გახდეს. აქციების ორგანიზატორები ითხოვენ, გადადგეს პრემიერ-მინისტრი; შეიქმნას ეროვნული თანხმობის დროებითი „ტექნიკური მთავრობა“ და ევროკავშირის მონიტორინგის ქვეშ ჩატარდეს დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები. რამდენად რეალურია ეს მოთხოვნები და რა შედეგს გამოიღებს ზაფხულის აქციები?

– „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა, რომელიც მიიჩნევს, რომ აქციების ორგანიზატორების მხრიდან უფრო რეალურად მისაღწევი იქნებოდა, თუ ხელისუფლებას ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას აიძულებდნენ, რადგან მისი თქმით, უფრო მეტი შანსია, ხელისუფლებამ ეს პუნქტები შეასრულოს, ვიდრე ძალაუფლება დათმოს...

– ბატონო ვახტანგ, 20 ივნისს, რუსთაველზე უამრავი ადამიანი გამოვიდა, ამ მასშტაბის აქცია მე არ მახსენდება... თქვენ რაზე მიგანიშნებთ ეს ფაქტი?

– გეთანხმებით, ხალხის დიდი რაოდენობა გამოვიდა. იყო რამდენიმე მომენტი, როცა საზოგადოება მართლა გამოვიდა ქუჩაში, არ ვლაპარაკობ ბოლო ათწლეულზე, მაგრამ პროტესტის ასეთი მასშტაბი და სხვადასხვა ჯგუფისგან შემდგარი საზოგადოება, ბოლო წლებია, რუსთაველზე არ ყოფილა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ცნობილი იყო, რომ საქართველო ამ სტატუსს ვერ მიიღებდა. ეს არის საქართველოს მოსახლეობა იმ გამოკითხვებით, რომ 85% ევროპისკენ მიისწრაფვის და ეს დადასტურდა ამ აქციითაც.

რომ ვთქვათ, ეს მხოლოდ ევროპისთვის განკუთვნილი აქცია იყო და საზოგადოება იმიტომ გამოვიდა, რომ ევროპას დაენახა ჩვენი მისწრაფებებიო, მთლად ასე არაა. კი, იყო ეს მოტივი, მაგრამ არის მეორეც – ეს იყო საპროტესტო აქცია. რამდენიც უნდა ილაპარაკოს ხელისუფლებამ, ჩვენი მომხრეებიც იყვნენ აქციაზეო, ძალიან ცუდი, თუ ასეა, ე.ი. უნდა ჩათვალონ, რომ ეს ხალხი მათი მომხრე უკვე აღარაა. ხელისუფლებისთვის უკეთეს შემთხვევაში, ისინი პატარა პარტიებში გადანაწილდებიან, უარეს შემთხვევაში კი ნაციონალურ მოძრაობას შეუერთდებიან. 24-ში მომეჩვენა, რომ აქცია ცოტა შემცირებული იყო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის, რადგან 24-ში დადასტურდა ის, რაც 20-ში უკვე ვიცოდით. ვნახოთ, რა მოხდება 3 ივლისს. თუ დაიწყება მობილიზება მთელი ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო ტალღის, მაშინ 3-ში, ნამდვილად იქნება ძალიან დიდი აქცია. ვფიქრობ, ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს ამაზე და დაიწყოს გამოსავლის ძებნა.

მეორე მხრივ, ოპოზიცია არ უნდა გათამამდეს, რომ ამდენი ხალხი გამოვიდა ქუჩაში და სასწრაფოდ არ უნდა მოინდომოს რაღაცების შეცვლა, რადგან ასეთი რაღაცებიც გვახსოვს, როცა ოპოზიციამ იჩქარა და სიჩქარეში ისიც დაკარგა, რაც ჰქონდა...

– რას გულისხმობთ?

– მახსენდება საკმაოდ მნიშვნელოვანი აქცია, როდესაც 2009 წელს, რუსთაველის გამზირი კარვებით იყო სავსე. მაშინაც დიდი აქციები იყო, ოღონდ ოპოზიციამ გამოსავალი კარვებიდან ვერ იპოვა, უფრო სწორად, იპოვა ძალიან ცუდი გამოსავალი – ჯერ იპოდრომზე შეიკრიბნენ, მერე პატრიარქთან წავიდნენ და ფაქტობრივად, მოსთხოვეს ლიგიტიმურობა სახელისუფლებო ორგანოების შტურმის აღებისა და ა.შ. ახლა, ყველაფერი ეს გასათვალისწინებელია, როცა ოპოზიცია აანონსებს პერმანენტულ აქციებს და აცხედებს, თუ არ გადადგება პრემიერ-მინისტრი, არ დავიშლებითო, ვფიქრობ, ეს საკმაოდ სახიფათო განცხადებებია, გამომდინარე იქიდან, რომ ზაფხული პოლიტიკურად აქტიური არ ყოფილა ეროვნული მოძრაობის პიკშიც კი.

ამასთან, თუ გაიხსენებენ აქციის დღევანდელი ორგანიზატორები, თუ მათ ახლოს მდგომი პოლიტიკური ძალები, მაშინ კარვების აქციების დროს, ისინი ხელისუფლებაში იყვნენ, სამი თვე რუსთაველი გადაკეტილი იყო, მაგრამ მშვენივრად გრძნობდნენ თავს. თუ იმ სცენარზე ფიქრობენ, რაც 2003 წელს განხორციელდა, ესეც საკმაოდ არაზუსტია, აქაც ცოტა მეხსიერების დაძაბვაა საჭირო, რომ გაიხსენო, შევარდნაძის გადადგომას წინ უძღოდა ბეიკერისა და ივანოვის ვიზიტები თბილისში. ეს ბურჯანაძეს უნდა ახსოვდეს კარგად, ხოლო რაც 2012 წელს მოხდა, ეს სააკაშვილს უნდა ახსოვდეს. 2003-შიც და 2012-შიც თუ რაღაცნაირად მოხდა კომპრომისებზე წასვლა არა ქვეყნის შიგნით, არამედ, ქვეყნის გარეთ, დღეს ეს კომპრომისები შეუძლებელია.

– რატომ?

– თუ კომპრომისებია საძებარი დიდ მოთამაშეებს შორის, ეს უკრაინის საკითხზე უფრო მოხდება, ვიდრე – საქართველოზე. მოკლედ, ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, რომ ქუჩაში გამოსული პროტესტი სახლში არ შებრუნდეს.

– ამ აქციის ორგანიზატორების მოთხოვნა მთავრობის გადაყენება, დროებითი „ტექნიკური მთავრობის“ დაკომპლექტება და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია. როგორ ფიქრობთ, ეს მოთხოვნები, ამ პირობებში, რეალურად მისაღწევია?

– ხელისუფლებას მოუწოდო, გადადექი და მე შემომიშვიო, ეს ნიშნავს, რომ ძალაუფლების გადაბარებას ითხოვ. იმიტომ გავიხსენე 2009 წელი, რომ მაშინ ხელისუფლებაში იყვნენ თვითონ და არ გააკეთეს ის, რასაც დღეს ხელისუფლებისგან ითხოვენ და ეს ხელისუფლება რატომ გააკეთებს, უბრალოდ, არ მესმის. თუ სხვა სცენარს მოიაზრებენ, დღევანდელი ვითარება კარდინალურად განსხვავდება 2003 წლის პერიოდისგან, ამიტომ ეს მოთხოვნები არარეალურია. კარგი, დავუშვათ, ხელისუფლება თანახმაა, მაშინ უმრავლესობამ უნდა მოახდინოს ამ „ტექნიკური მთავრობის“ ლეგიტიმაცია? რატომ გააკეთებს ამას, იქნებ, არგუმენტი მითხრან... ამიტომ ვამბობ, სანამ რაღაცას გადაწყვეტენ, გაიხსენონ 2009 წელი, იქნებიან ქუჩაში და იქნებიან... მაშინ სამი თვე იყვნენ ქუჩაში და არაფერი მოხდა.

– როგორი მოთხოვნა უნდა წააყენოს ოპოზიციამ, რომ რეალურად მისაღწევი იყოს?

– მზად არაა არც საზოგადოება, არც ოპოზიცია და არც ხელისუფლება რადიკალური ცვლილებებისთვის, მაგრამ მზადაა იმისთვის, რომ იმ 12 პუნქტის შესასრულებლად იბრძოლონ. ამიტომ ოპოზიცია ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიჰყვეს ამას. იმის იმედი თუ აქვს ოპოზიციას, რომ შეუძლია „ტექნიკური მთავრობის“ დანიშვნა აიძულოს, იმის იძულება უფრო ადვილი და სწორი იქნება, რომ თითოეული პუნქტის შესრულება აიძულოს მმართველ ძალას. მოითხოვოს არა მთავრობის გადადგომა, არამედ, მთავრობის მიერ გაწერილი გეგმა – რას და როგორ აპირებს. შემდეგ ყველა პუნქტზე იყოს პირდაპირი ზეწოლა პარლამენტში და მის გარეთ... ხალხისთვის, ჩემი აზრით, სჯობს, ეს 12 პუნქტი შესრულდეს და კანდიდატის სტატუსი მივიღოთ. ამას თავი დავანებოთ, ლაპარაკი ხელისუფლების გადაწყვეტილებაზეა. რა სჯობს – ვაიძულოთ ხელისუფლება და ვნახოთ, საით წაგვიყვანს ეს გზა – ეს სხვა თემაა. როცა დარწმუნებული იქნები, რომ ყველაფერი გააკეთე, რათა 12 პუნქტის შესრულება გეიძულებინა ხელისუფლებისთვის და ვერ გააკეთა ეს, მაშინ, შესაძლოა, უფრო რადიკალურ ნაბიჯზე იფიქრო, მაგრამ როცა ხელისუფლება ამბობს, ვიწყებ ამ პუნქტების შესრულებასო, გასაგებია, რომ არ გჯერა, არც მე მჯერა და მეტიც, დარწმუნებული ვარ, ყველანაირად ეცდება, რაღაცნაირად გვერდი აუაროს ან შეალამაზოს, მაგრამ მუშაობაა საჭირო. იმის უფრო არ მჯერა, რომ პერმანენტული აქციებით რამე შედეგი დადგება. ისტორიაა ასეთი, 30 წელი მაინც უნდა გახსოვდეს, თუ პოლიტიკაში აპირებ რაღაცის გაკეთებას. გარდამტეხი მომენტები მაინც უნდა გააანალიზო.

რას ნიშნავს ევროპული პერსპექტივა – თემურ ბასილიას განმარტებები

მაკა რუხაძე

„ხაზგასმით ვამბობ, რომ საქართველოს ომში ჩაბმა ეროკავშირსა და აშშ-დან არავის მოუთხოვია!“

რას ნიშნავს ევროპული პერსპექტივა საქართველოსთვის? რატომ „დაშალეს“ ევროპარლამენტარებმა ე.წ. ასოცირებული ტრიო – საქართველო, უკრაინა და მოლდოვა და რატომ მიანიჭეს უპირატესობა ანუ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მხოლოდ უკრაინასა და მოლდოვას? – ამ თემაზე სასაუბროდ ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში, ანალიტიკოს თემურ ბასილიას აშშ-ში დავუკავშირდით. მიზეზი მარტივია, 90-იანი წლების დასაწყისში, ბატონი თემური საქართველოს მესამე მოწვევის პარლამენტის წევრი იყო, შემდეგ – საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ბოლოს კი პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში. ცხადია, ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის უდიდესი გამოცდილება აქვს, შესაბამისად, მასზე უკეთ ვერავინ ახსნის, შესაძლებლობის რა ფანჯარა გაგვიხსნეს ევროპარლამენტარებმა ევროკავშირის წევრობისკენ სავალ გზაზე.

– ბატონო თემურ, რას ნიშნავს ევროპარლამენტარების 17 ივნისის გადაწყვეტილება – პერსპექტივის გახსნაა თუ პირიქით, უკან დახევა?

– არა, უკან არ დაგვიხევია, რადგან პერსპექტივის გახსნა წინგადადგმული ნაბიჯია. აქამდე არასოდეს ყოფილა გამოცხადებული ევროკავშირის მხრიდან, რომ იგივე, მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს ანუ აღმოსავლეთის პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან ამ სამს ევროპული პერსპექტივა ჰქონდა.

ამდენად, თუ ამ მხრივ შევაფასებთ, ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მოლოდინი და სურვილი, რომ საქართველოსაც ჰქონოდა ის სტატუსი, რაც მოლდოვამ და უკრაინამ მიიღეს, ობიექტური გახლდათ.

ბოლოს და ბოლოს, საქართველო ნამდვილად არ არის არცერთი მაჩვენებლით არც მოლდოვაზე და არც უკრაინაზე უკან, თუნდაც იგივე კორუფციის მაჩვენებლით ან მმართველობის სისტემით.

– მაშინ, რა მოხდა?

– სამწუხაროდ, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, ხელისუფლების წარმომადგენელთა რიტორიკულმა განცხადებებმა ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა და ეს ერთ-ერთი ფაქტორი გახლავთ, რის გამოც საქართველო მოლდოვასა და უკრაინისგან გამოაცალკევეს.

როგორი ცუდიც უნდა ყოფილიყო, ვფიქრობ, შარლ მიშელის შეთანხმებიდან გასვლა არასწორი ნაბიჯია. თუ იმ ხელშეკრულებაში ბევრი რამ არასწორი, მით უმეტეს, არაკონსტიტუციური იყო, მაშინ თავიდანვე არ უნდა მოეწერათ ხელი.

თუ ეს მართლაც ასე იყო ანუ ხელშეკრულებაში მართლაც არაკონსტიტუციური პუნქტები იყო შეტანილი, ძალიან მარტივად შეიძლებოდა ამის ახსნა უცხოელი პარტნიორებისთვის. პირადად, მე, იგივე, ბრიუსელსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას არაერთი შემთხვევა მქონია, რომ თუ პრობლემა გაქვს და აუხსნი პარტნიორს, ამას აუცილებლად ითვალისწინებენ.

პრაქტიკაში ისეთი შემთხვევაც მქონია, რომ შეთანხმება დოკუმენტურად არ გაგვიფორმებია, სიტყვიერად შევთანხმებულვართ, მაგრამ სიტყვიერ შეთანხმებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც შეთანხმებიდან გადიხართ, ეს პარტნიორში მაინც და მაინც დადებით განწყობას არ იწვევს და შენს იმიჯსაც აზარალებს.

– გასაგებია, რომ კარი არ მოგვიხურეს, ქვეყანას ევროპული პერსპექტივა გაუხსნეს და შესასრულებელი რეკომენდაციებიც გაგვიწერეს, მაგრამ 17 ივნისის შემდეგ, ძალიან ბევრი სერიოზული ადამიანი ქილიკობს და ევროპულ პერსპექტივას „მაპზე უკეთესს“ უწოდებს... რამდენად რეალურია საქართველოს ევროპული პერსპექტივა ევროკავშირისკენ სავალ გზაზე?

– არ შეიძლება საკითხის ასე დასმა, რადგან თუ ადამიანები ამას მართლაც სერიოზულად განიხილავენ, გამოდის, თითქოს, ევროკომისია, ევროგაერთიანება ან ევროპარლამენტი არასერიოზულ ადამიანთა კრებულია, რომლებიც რაღაცას გვპირდებიან?!

ეტყობა, ამ ადამიანებს არასდროს ჰქონიათ ურთიერთობა არც ბრიუსელთან და არც საერთაშორისო ორგანიზაციებთან. არასერიოზული და არაკომპეტენტურია ასეთი მოსაზრების გავრცელება.

არ ვიცი, საკითხს ასე ვინ სვამს, მაგრამ ადამიანები, რომლებიც იცნობენ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის პრინციპებს, არ მგონია, უპასუხისმგებლო ჭორაობით იყვნენ დაკავებულნი.

– მეც მეუხერხულება კითხვის ამ ფორმით დასმა, მაგრამ საზოგადოებაში ასეთი განწყობაა. გასაგებია, რომ ეს რუსული ნარატივია, რადგან ოკუპანტი ქვეყანა ცდილობს, საქართველოს ევროპული პერსპექტივა ქილიკის საგნად აქციოს და ხალხიც ნიჰილიზმში ჩააგდოს. არადა, ევროპა ჩვენი არჩევანია, რაც სულაც არაა ახალი მოვლენა, არც 90-იანი წლებიდან დაწყებულა საქართველოს ევროპული სწრაფვა, საუკუნეების მანძილზე, ევროპა საქართველოს სერიოზული არჩევანი იყო, არ მეთანხმებით?

– რა თქმა უნდა, გეთანხმებით.

> **საუკუნეების მანძილზე, ევროპა იყო ჩვენი არჩევანი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე-11 საუკუნეში, დავით აღმაშენებლის ლაშქარში შედიოდნენ ფრანკი ჯვაროსნებიც. ეს არ არის ახლად შემოგორებული თემა საქართველოს დღევანდელობაში, ევროპა საქართველოს ისტორიული არჩევანია, რადგან ჩვენი ქვეყანა დასავლური ცივილიზაციის ნაწილია.**

დასასრული მე-7 გვერდზე

რას ნიშნავს ევროპული პერსპექტივა – თემურ ბასილიას განმარტებები

მე-6 გვერდიდან

რა თქმა უნდა, არის აღმოსავლური ელემენტები, ჩვენი ადგილმდებარეობის გამო, რადგან საქართველო არ არის შუაგულ ევროპაში, კავკასიაშია, რომელიც ესაზღვრება აღმოსავლეთის ქვეყნებს, თუმცა მისი მდებარეობა ქმნის ამ ქვეყნის კოლორიტს და განსაკუთრებულობას. ამაში არაფერი ცუდი არაა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ დასავლეთს მივაკუთვნებთ საკუთარ თავს, ის დადებითი და კარგი ელემენტები, რაც აღმოსავლეთიდანაა შემოსული, დავთრგუნოთ. პირიქით, აღმოსავლური და დასავლური ელემენტების ერთობლიობა და შერწყმა ქმნის ქართულ უნიკალურობას, რისთვისაც საქართველო და ქართველები მიმზიდველები და საინტერესონი არიან უცხოელებისთვის.

ამ უნიკალურობას პატივი უნდა ვცეთ და ხაზი გავუსვათ. შესაბამისად, საქართველოს მისწრაფება ევროპისკენ, საუკუნოვანი ისტორიის ლოგიკური გაგრძელებაა.

– სხვათა შორის, ლამის, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობაც კი წამოგვაყვედრეს... მართალია, მაკრონის განცხადებაში ცუდი არაფერი ყოფილა, მაგრამ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ისე „თარგმნა“, თითქოს ჩვენი მდებარეობის გამო არ მოგვცეს ევროკავშირის წევრობის სტატუსი, ამას მოჰყვა კიდევ ერთი მოსაზრება – თურმე, იმიტომ გვითხრეს უარი, რომ საქართველოში მეორე ფრონტი არ გაიხსნა. არადა, ევროკავშირის წევრობა ხომ გარანტირებულ მშვიდობას ნიშნავს, ბატონო თემურ?

– რამდენიმე საკითხია თავმოყრილი ამ კითხვაში და მივყვეთ თანმიმდევრობით.

საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადება პოზიტიური სიგნალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინისა და მოლდოვასგან განსხვავებით, საქართველოს სხვა გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, ამ ქვეყნის ქეისი დევს მაგიდაზეო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ ესაზღვრება ევროკავშირის ქვეყნებს, ჩვენ მაინც განვიხილავთ საქართველოს საკითხს, როგორც ევროპული ქვეყნისო, – აი, ეს იყო მაკრონის განცხადების მთავარი გზავნილები.

რაც შეეხება ომში ჩაბმას, ხაზგასმით ვამბობ, რომ არც ევროკავშირიდან და არც შეერთებული შტატებიდან, არავის საქართველოს ომში ჩაბმა არ მოუთხოვია! მე გახლდით ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც ხაზს ვუსვამდი, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ცდილობდნენ, საქართველოში პროვოკაცია მოემზადებინათ, რათა ქვეყანა საომარ მოქმედებებში ჩართულიყო. ასევე, იყო უკრაინის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების სურვილიც, რომ საქართველო ჩაბმულიყო რუსეთთან ომში და ნურც ამას დავმალავთ.

უკრაინის ხელისუფლების ინტერესი გასაგებია, რადგან თუ იქნებოდა მეორე ფრონტი, რუსეთს მოუწევდა გარკვეული ძალების მობილიზება სხვა ფრონტზეც ანუ უკრაინაზე ასეთი ძლიერი შეტევის შესაძლებლობა აღარ ექნებოდა.

ნაციონალებისა და ხელისუფლების მოწინააღმდეგე სხვა პარტიების ინტერესებიც გასაგებია, მეორე ფრონტის გახსნით, მათ უნდოდათ არეულობა ქვეყანაში, რაც გადატრიალების გზით, ხელისუფლებაში მოსასვლელად ერთადერთი გზა იყო მათთვის. ვფიქრობ, არასერიოზულია, ავდგეთ და დავაბრალოთ, რომ ეს იყო ბრიუსელისა და ვაშინგტონის სურვილი.

– ევროკავშირისკენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით და ამის ნათელი მაგალითი იყო ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება. ასოცირების ხელშეკრულების ლოგიკური გაგრძელება უნდა ყოფილიყო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი...

– თავისუფალი ვაჭრობა და ევროკავშირში გაწევრიანების შესაძლებლობა ორი, სრულიად განსხვავებული თემაა.

მაგალითად, არიან ევროპის ქვეყნები, რომლებსაც ევროკავშირთან აქვთ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, მაგრამ არ არიან წევრები და ასეთია, მაგალითად, ნორვეგია. ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა აქვთ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებსაც – ტუნისსა და მაროკოს, მაგრამ ამ ქვეყნებს ევროპული პერსპექტივა არ აქვთ.

ობიექტურად რომ ვისაუბროთ, რომ არა რუსეთის შეჭრა უკრაინაში, ეს თემა საქართველოსთვის, უკრაინისა და მოლდოვასთვის აქტუალურიც კი არ გახდებოდა. ომმა გააქტიურა და გაუხსნა შესაძლებლობა ამ სამ ქვეყანას, გახდნენ ევროკავშირის წევრები. ესაა შესაძლებლობის ფანჯარა, რომელიც ამ ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ.

გურამ ბაღდოშვილი: „სარესტორნე სფეროში სრული ქაოსია!“

ია გრიგალაშვილი

ქართული სამზარეულო ერთ-ერთი უმდიდრესი და უნიკალურია მთელ მსოფლიოში. ქართველი პროფესიონალი შეფ-მზარეულების შესახებ საუბარი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც სხვადასხვა კულინარიული შოუ გამოჩნდა. საზოგადოების უმრავლესობამ ბევრი მათგანი, სწორედ ტელეეკრანიდან გაიცნო, ერთ-ერთია წარმატებული შეფ-მზარეული, გურამ ბაღდოშვილი. ის „სამზარეულოს ომების“ ჟიურის წევრი იყო, ახლა კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აქტიურ კულინარიულ საქმიანობას ეწევა. კვების ობიექტებთან ერთად, კახეთში საკუთარი მეურნეობაც აქვს, რამდენიმე თვის წინ კი, 1 მილიონი ევროს ინვესტიციით, ბათუმში, „ალიანს ჯგუფთან“ ერთად, განსხვავებული კონცეფციის რესტორანი გახსნა. „ვერსია“ ქართული კულინარიისა და სარესტორნე ბიზნესის პრობლემებზე გურამ ბაღდოშვილს ესაუბრა.

„ავსტრალიამ ღვინის განვითარებაში უდიდესი ინვესტიცია ჩადო და კოსმიური სისწრაფით გაგვისწრო, ჩვენ კი 8 ათასი წელია, ღვინოს ვამზადებთ და ერთ ადგილას ვბაჯბაჯებთ“

– გურამ, რატომ გადაწყვიტეთ ბათუმში რესტორნის გახსნა და ერთდროულად როგორ უმკლავდებით ამდენ საქმეს?

– ვმუშაობ აისიდან დაისამდე, კახეთიდან აჭარამდე. კახეთში მაქვს ფერმა, ვაწარმოებ სხვადასხვა ტიპის სოფლის ნობათს და ვამარაგებ ჩემს რესტორნებს, რათა კერძები ხარისხიანი პროდუქტისგან მოვამზადოთ. პერიოდულად, ჩამოვდივარ თბილისში. აჭარაში მყავს კარგი მეგობრები და პარტნიორები, მათთან ერთად წამოვიწყე ეს არაჩეულებრივი საქმე – აქ ნამდვილად საჭირო იყო მაღალი კლასის ზღვის პროდუქტების რესტორანი. გვაქვს შერეული სამზარეულო, არა მხოლოდ თევზის, არამედ, აზიური, ტაილანდური, ვიეტნამური, ქართული და ა.შ. ეს არ არის ექსკლუზიურად მხოლოდ თევზის რესტორანი.

– მაღალი კლასის რესტორანში, ალბათ, ფასებიც შესაბამისია, ქართველები უფრო მოდიან კერძების დასაგემოვნებლად თუ უცხოელები?

– ყოველთვის ვცდილობ, ქართველი სტუმრებისთვის ვიმუშაო, აქცენტი მათზე უფრო მაქვს აღებული. ყველას მოსვლა მიხარია, მაგრამ უფრო ქართველის, რადგან ჩვენს ბაზარზე ვარ ორიენტირებული და, პირველ რიგში, ვცდილობ, ჩემი ქვეყნის მოქალაქეები დავაკმაყოფილო. უცხოელებს რომ ვანიჭებდე უპირატესობას, ევროპაში წავიდოდი და იქ ვიმუშავებდი. მინდა, ჩემ ქართველ სტუმარს ვასიამოვნო და ვასწავლო, როგორია გემრიელი გასტრონომია.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად მოწესრიგებულია სარესტორნე ბიზნესი საქართველოში, იღებენ თუ არა მომხმარებლები შესაბამის მომსახურებასა და კერძებს?

– ახლაც ამ თემაზე ვსაუბრობდი მეგობართან, თუ რა რთულია პერსონალთან კომუნიკაცია. ბევრ რესტორანში დამფუძნებელი თავად არის ჩართული საქმეში და ყველაფერი კარგად მიდის, თუმცა სადაც, უბრალოდ, დაქირავებული პერსონალია და ფინანსურ მოგებაზეა ორიენტირებული, იქ ვერანაირად იქნება კეთილსინდისიერება.

მხოლოდ გასტრონომიული გამოცდილება არ არის საკმარისი რესტორნის გასახსნელად, მენეჯმენტისა და ფინანსების ცოდნაც საჭიროა. თუ კარგი მარკეტინგი არ გაქვს, ძალიან რთულია ბიზნესი დაიწყო, ამას სჭირდება მოთმინება და ბრძოლა. თუ ყველა პრობლემას გაუძლებ, რასაც ცხოვრება წამოგიყენებს და დაბრკოლებებს გადალახავ, გააგრძელებ მუშაობას, თუ არადა – არაფერი გამოგივა. ერთი წლის განმავლობაში, 100 რესტორანი იხსნება და 99 იკეტება.

უპატრონოდაა მიტოვებული ეს სექტორი, აქედან გამომდინარე, რესურსი ძალიან ცოტაა, სერვისი კი – უარესი. პროფესიონალიზმზე ზედმეტია ლაპარაკი, ბევრ ადამიანს ექსპლუატაციაში ჰყავდა კადრები, მაგრამ რაც მიტანის (გამოძახების) სერვისი გაჩნდა, მას შემდეგ აირია ყველაფერი. სიცოცხლის ფასად შეუძლიათ იარონ დღე და ღამე, რადგან ამ სისტემაში მომუშავე ადამიანებს ორმაგი ხელფასი აქვთ და თავიანთი თავის უფროსები თავადვე არიან.

– რთულია კარგი მზარეულებისა და პერსონალის მოძიება?

– რა თქმა უნდა, სულ ამ ადამიანების ცვლასა და ძიებაში ვარ. ვიღაცას ვასწავლით რამეს, მალევე მიდის და ცდილობს, საკუთარი ბიზნესი წამოიწყოს ან სხვა ქვეყანაში წავიდეს. ჩემი გუნდიდან ორი, ახლახან, აშშ-ში წავიდა, ერთი საფრანგეთში მიდის, ერთიც – გერმანიაში. ხომ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს გუნდში ოთხი ადამიანის დაკარგვა? ძალიან მძიმეა, მაგრამ ვიმუშავებთ, სხვა გზა არ გვაქვს. კონცეპტუალური რესტორნის შენახვა ძალიან რთულია, დიდი რესურსი და 24/7-ზე შრომა სჭირდება.

– სახელმწიფო ან კერძო სექტორიდან თუ გაქვთ რამე ხელშეწყობა ან ბიზნეს შეღავათები?

– ხელშეწყობაზე ზედმეტია ლაპარაკი. პანდემიამდე, თითქოს, კარგ გზაზე იდგა ეს სფერო, შემდეგ „ავჯანყდით“ და ყველას ვეუბნებოდით, რომ თუ არ მივხედავდით ამ სექტორს, დაიღუპებოდა. ჩვენი პროგნოზი ახდა. სარესტორნე სფეროში სრული ქაოსია, მარტო ხელფასებზე არ არის საუბარი, პროფესიონალების დიდი გადინებაა, იმ კატეგორიის, რომელმაც მიაღწია რაღაც დონეს და ახლა სხვა ქვეყნებში მიდის. ყველა სექტორშია კადრების ნაკლებობა, კომუნიკაცია და ასე შემდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებას.

– გურამ, თქვენ ერთ-ერთ კულინარიულ შოუში ჟიურის წევრი იყავით, რატომ წამოხვედით „სამზარეულოს ომებიდან“?

– „სამზარეულოს ომებიდან“, მეტწილად, დროის ნაკლებობის გამო წამოვედი. ასევე, ცოტა ფორმატი შეიცვალა გადაცემამ და ჩემთვის შინაარსი დაკარგა. ყოველთვის მინდოდა გასტრონომიის განვითარება და მხოლოდ ამაზე მქონდა აქცენტი. დროის ნაკლებობის გამო, ჩემი ძველი გადაცემებიც კი არ მინახავს.

– ადევნებთ თუ არა თვალს ამჟამინდელ კულინარიულ შოუებს და თუ გყავთ ფავორიტი მონაწილე?

– არა, სამწუხაროდ, დრო არ მაქვს. გამიგია, რომ არსებობენ კარგი ახალგაზრდა მზარეულები, მაგრამ შოუ-გადაცემების მოყვარული არ ვარ, უფრო საგანმანათლებლო მომწონს.

– ქართულ სამზარეულოზე ვისაუბროთ, რა როლი უჭირავს გასტრონომიულ სფეროს ჩვენს კულტურულ თვითმყოფადობაში?

– საქართველოში ოთხი მთავარი არტერიაა, ეს არის ეთნოგრაფია, პოლიფონია, ქორეოგრაფია და კულინარია. ეს ოთხეული ქართული კულტურის ცენტრალური არტერიებია. ამას თუ ვერ გავუფრთხილდით, რა თქმა უნდა, წინ ვერ წავალთ. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, თუ გასტრონომია და სოფლის მეურნეობა არ განვითარდა, ტურისტები მარტო ძველი თბილისის სანახავად არ ჩამოვლენ. მათ ყოველნაირად მაღალ დონეზე უნდა დავხვდეთ. ავსტრალიამ ღვინის განვითარებაში უდიდესი ინვესტიცია ჩადო და კოსმიური სისწრაფით გაგვისწრო, როცა ჩვენ, 8 ათასი წელია, უკვე ღვინოს ვამზადებთ და ერთ ადგილას ვბაჯბაჯებთ.

– როგორ უნდა განვავითაროთ ეს სფერო, რომ მეტი ტურისტი მოვიზიდოთ და ეკონომიკური მდგომარეობაც გავაუმჯობესოთ?

– უფრო მეტი უნდა იმუშაოს მთავრობამ ამ დარგში, მეტ ადამიანს მოუსმინოს, მეტი კონფერენციები და შეხვედრები ჩაატაროს, მეტი ინვესტიცია ჩადოს და საგანმანათლებლო სივრცეები გახსნას. მოწვეული შეფები უნდა ჩამოიყვანონ და მენეჯმენტი გააუმჯობესონ. დუბაი ააშენეს ქვიშაზე, არაფრისგან შექმნეს ამხელა ქალაქი. ჩვენ ძალიან დიდი რესურსი გვაქვს, შრომა არ უნდა გვეზარებოდეს, 08.00 საათზე ყველაფერი ღია უნდა იყოს, ხოლო 12.00 საათზე – ხალხი უკვე დაღლილი უნდა იყოს მუშაობით, ჩვენ კი 12.00 სთ-ზე ვიღვიძებთ. ამ რიტმით, ვერ განვვითარდებით.

– გურამ, რა გეგმები გაქვთ, კიდევ ხომ არ აპირებთ ახალი რესტორნის გახსნას?

– სიურპრიზები მომავალშიც იქნება. კიდევ მაქვს ერთი პროექტი, თუმცა ჯერ ამაზე არ ვსაუბრობ, სანამ რემონტს არ დავასრულებ.

სამართალი

№25 29 ივნისი 2022 წ

ბიზნესმენმა სიძის მკვლელობაში 26 ათასი დოლარი გადაიხადა

რატომ არ დაასახელეს ბოშებმა მკვლელობის შემკვეთი

ბათო ჯაფარიძე

რაც უფრო ჭკვიანია კრიმინალი, მით უფრო რთულია მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება. ამიტომაცაა, რომ რიგითი კრიმინალები ციხეში ხშირად ხვდებიან, გამოცდილი და განათლებულები კი – იშვიათად. ჰოდა, მთავარი ის გახლავთ, რომ ამ დროს, გამომძიებელი უნდა იყოს კრიმინალზე ჭკვიანი, სხვაგვარად, მისი დაკავება არ გამოვა.

90-იანი წლების გარიჟრაჟზე, თბილისში ყაჩაღობა მოხდა. მაშინ ეს არავის უკვირდა, რადგან ყაჩაღობა და მკვლელობა საქართველოს ყოველდღიურობის ნაწილი იყო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სტუმრად გოგოს მამასთან იმყოფებოდა, ბიზნესმენთან, რომელსაც ყველა პატივს სცემდა და ყველამ იცოდა, რომ მას, როგორც ძალოვნებთან, ისე, „კანონიერ ქურდებთან“ ყველაფერი დალაგებული ჰქონდა. ამიტომ, ყველას გაუკვირდა, როცა ბიზნესმენის ბინაში ყაჩაღები შევიდნენ, სიძე მოკლეს, გოგოს კი გულის მხარეს ესროლეს, მაგრამ ის გადარჩა. ტყვია ნეკნებში გაიჭედა და ექიმების წარმატებული ოპერაციის შემდეგ, თამამად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ბიზნესმენმა უთხრა, ოღონდ ეს საქმე გამოიძიეთ და მზად ვარ, რა თანხაც წაიღეს, ერთი იმდენი პრემიის სახით მოგცეთო. გამომძიებლები მიხვდნენ, რომ იგივე პირობას ბიზნესმენი „ქურდულ სამყაროსაც“ წაუყენებდა და ახლა საქმე დასწრებაზე იყო.

კრიმინალებს უპირატესობა ჰქონდათ – მათ უკეთ იცოდნენ, ვინ იყო ასეთ საქმეზე წამსვლელი, ძალოვნებს კი საამისოდ რამდენიმე დღე მაინც სჭირდებოდათ, სახლიდან კი იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა, 26 ათასი დოლარი იყო წაღებული. სწორედ ეს ციფრი დაასახელა ბიზნესმენმა.

„გარდაცვლილ მამაკაცს ერთი ტყვია აქვს მოხვედრილი გულის არეში და ის მაშინვე გარდაიცვალა. იგივე იარაღიდან ესროლეს გოგონასაც, თუმცა ამ შემთხვევაში, ტყვია ნეკნებს შორის გაიჭედა და გადარჩა. ორივე ტყვია „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდანაა ნასროლი და ტყვიის გულას ჭრილი მიანიშნებს, რომ ერთი იარაღიდან ისროდნენ“, – ეწერა ექსპერტიზის დასკვნაში.

როგორც ძალოვნები, ისე კრიმინალური სამყარო თავხედური თავდასხმის შემსრულებელთა ძიებით გახლდათ დაკავებული, თუმცა ისინი თითქოს მიწამ ჩაყლაპა, გაქრნენ და ცხელ კვალზე ვერავინ ვერაფერი გაარკვია. არც სიძე და არც ქალიშვილი არ მუშაობდნენ, ისინი ბიზნესმენის კისერზე იყვნენ და შესაბამისად, თავდასხმაც, სწორედ ბიზნესმენის სახლში ამიტომ მოხდა. გარდაცვლილი სიძე ბიზნესმენმა პომპეზურად გაასვენა და დაიფიცა კიდეც, შენს მკვლელებს ვიპოვი და უკან მოგაყოლებო.

მეზობლებს არაფერი დაუნახავთ, ამბობდნენ, ორი უცხო ბიჭი კი შევნიშნეთ, მაგრამ ისინი ყაჩაღებს არ ჰგავდნენ და არც იარაღი ჰქონდათო, თუმცა „მაკაროვის“ დამალვა ძალიან მარტივია და არაერთი კრიმინალი არსებობს, რომელსაც ანგელოზის სახე აქვს. მომხდარიდან ორი კვირის შემდეგ, გამოძიებას არაფერი ჰქონდა, არც კრიმინალებისგან ისმოდა რამე, თუმცა ყველაფერი თავდაყირა ექსპერტმა დააყენა. ის გამომძიებელთან მივიდა და ერთადერთი სიტყვა უთხრა – „შეუძლებელია!“

გამომძიებელმა დაღლილი თვალებით ახედა, ექსპერტმა კი გააგრძელა – „შეუძლებელია, ერთი და იმავე იარაღიდან ისროლო ტყვია და ამ დროს, პირველი ტყვია, ლამის, მეორე მხარეს გამოვიდეს, მეორე ტყვია კი, პრაქტიკულად, კანში გაიჭედოს. დასკვნაში კი წერია, ტყვია ძვალმა გააჩერაო, მაგრამ ძვალიც კი არ იყო დაზიანებული, ტყვიამ, უბრალოდ, კანი გახია და პირველივე წინააღმდეგობის დროს გაჩერდა. იგივე ძალით, შესაძლებელია, ტყვია შურდულით ისროლო, მანაც შეიძლება კანში შეაღწიოს და გაჩერდეს, ამიტომ აქ რაღაც ისეთია, რასაც ჯერ ვერ ვხვდები“...

გამომძიებელი უფრო დაიბნა. მას თავადაც ეჭვი ჰქონდა, როგორ შეიძლებოდა, ახლო მანძილიდან ნასროლი „მაკაროვის“ ტყვია ძვალს გაეჩერებინა, ამიტომ შესაბამის სპეციალისტებს მიმართა და საინტერესო პასუხიც მიიღო. თურმე, მარტივად შეიძლება ტყვიის სიმძლავრე დაასუსტო, მთავარია, დოზები იცოდე ანუ ტყვიას დაშლი, დენთს გაანახევრებ, ანდა, მესამედს, მეოთხედს დატოვებ, ისევ ააწყობ და შემდეგ უკვე, ნასროლ ტყვიას ის ძალა აღარ აქვს და არც მომაკვდინებელია. სპეციალისტების ნაამბობი კი იმას ნიშნავდა, რომ ვიღაცამ ზუსტად იცოდა, რას და ვის ესროდა და გოგონაც შემთხვევით არ გადარჩენილა. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავებმა, სწორედ გოგონას გარემოცვის შესწავლა დაიწყეს და იმის მიუხედავად, რომ მასზე საინტერესო ვერაფერი გაიგეს, წვალებას ტყუილად არ ჩაუვლია – სამაგიეროდ, მის მეუღლეზე გაარკვიეს. მოკლული ბიჭი მუდმივად ფულის დეფიციტს განიცდიდა და იმის მიუხედავად, რომ სიმამრი არაფერს უჭირვებდა, სიძე თამაშობდა და ძალიან ხშირად, დიდ თანხებს აგებდა. რამდენჯერმე სიმამრმა უშველა – „კანონიერ ქურდებთან“ კარგი ურთიერთობის გამო, არ ათამაშებდნენ, თუმცა მაინც ახერხებდა, მოენახა წრე, რომელიც თამაშზე თანახმა იქნებოდა.

ბოლოს, 6 ათასი დოლარი წააგო და წარმოდგენა არ ჰქონდა, საიდან უნდა გაესტუმრებინა. სავარაუდოდ, სიმამრთან, სწორედ ამ თანხის სათხოვნელად იყო მისული, თუმცა სტუმრობა ფატალური გამოდგა და მოხდა ის, რაც მოხდა.

„რას იტყვი, ასეთი ვერსია რომ განვიხილოთ: სიმამრს ყელში ამოუვიდა სიძის თამაში და ფულების გადაყრა, მოურიგდა ვიღაცებს, გაითამაშა ყაჩაღობის სცენა ისე, რომ მისმა ქალიშვილმაც კი არაფერი იცოდა, სუსტი ტყვიით დაჭრეს გოგო, მაგრამ მოკლეს ბიჭი, წაიღეს ის მოგებული 6 ათასი და ზედ, ამ ამბებისთვის საჭირო 20 ათასი დოლარიც „ხელს გააყოლეს“. შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზის გამო, ვერც ქურდები და ვერც ჩვენ ვერ ვპოულობთ შემსრულებლებს“, – უთხრა ერთმა გამომძიებელმა მეორეს და სამუშაო ვერსიაც შეიქმნა.

ძალოვნებმა მოკლულის გარემოცვის შესწავლა გაგრძელეს. უფრო სწორად, მათი, რომლებთანაც ბიჭს ბოლოს ჰქონდა კავშირი და გაარკვიეს, რომ ბოლოს ის ბოშებს ეთამაშებოდა ანუ მათ, რომლებსაც ნაკლებად აინტერესებდათ „ქურდული“ და „კანონიერებასაც“ დიდად არ სცნობდნენ. ისიც გაირკვა, რომ პრაქტიკულად, ყველა ბოშა იარაღს ერთი დედაბერის სახლში ინახავდა, რომელიც სანაცვლოდ, ყოველთვიურ ჯამაგირს იღებდა და სპეცოპერაციაც ამ ქალის სახლში ჩატარდა. სახლიდან ორი ათეული იარაღი ამოიღეს, მათ შორის, სამი ცალი „მაკაროვი“. გარდა იმისა, რომ სხვა იარაღი სხვადასხვა დროს გაუხსნელ საქმეებში ფიგურირებდა, „მაკაროვებიდან“ ერთი სწორედ ის იყო, რომლითაც ახალგაზრდა კაცი მოკლეს, მისი მეუღლე კი დაჭრეს.

ძალოვნებმა კარგად იცოდნენ, რომ დედაბერი არაფრის მთქმელი იყო, თუმცა მას ერთი ოქროს წესი ჰქონდა – სახლში არავის უნდა მოეტანა მკვლელობის იარაღი. ეს წესი დაირღვა და გამომძიებლებმა დედაბერს პირდაპირ უთხრეს, მკვლელობის ბრალდებას შენ წაგიყენებთო. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ქალმა მხოლოდ ამ კონკრეტული იარაღის მეპატრონე დაასახელა, დანარჩენებზე კი ხმა არ ამოუღია. სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი მალევე დააკავეს და მან ასევე, მალევე თქვა, როგორ მოიგეს 6 ათასი დოლარი, როგორ დაადგნენ შემდეგ ბიზნესმენს და როგორ დაემუქრნენ სიძის მკვლელობით. სწორედ ამ დროს გაუნათდა ბიზნესმენს სახე და ბოშებს შესთავაზა, დამატებით 20 ათას დოლარს მოგცემთ, ოღონდ ეგ კაცი მომაშორეთო. მხოლოდ სიძის მკვლელობა ეჭვს გააჩენდა და, პირველ რიგში, გოგონა დაეჭვდებოდა. მან ზუსტად იცოდა მამის დამოკიდებულება მისი ქმრისადმი, მაგრამ ქმარი ძალიან, ძალიან უყვარდა, ამიტომ მოიფიქრეს ტყვიის სიმძლავრის შესუსტება. მეტიც, გაირკვა, რომ თურმე, ასეთი ტყვიებით, ბოშები „ომობანასაც“ კი თამაშობდნენ და ამბობდნენ, შორ მანძილზე კანსაც ვერ ხევს, უბრალოდ, ადგილს ალურჯებსო. საბოლოოდ, ყველაფერი იდეალურად გამოვიდა, მაგრამ ექსპერტის საზრიანობამ და გამომძიებელთა მონდომებამ შედეგი დადო.

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, გაასამართლეს ყველა, გარდა ბიზნესმენისა. მან იმდენი მოახერხა, რომ პირველი ჩვენების მიცემის შემდეგ, ბოშებმა სასამართლოზე ყველაფერი გადათქვეს და დანაშაული მთლიანად საკუთარ თავზე აიღეს.

ბიზნესმენის ხსენება ყველა მიმართულებით გაქრა და არავინ იცის, ყველაფერი ეს რა დაუჯდა, მაგრამ ფაქტია, მართლმსაჯულებას თავი დააღწია.

საქმროს საცოლეს ბებია შემოაკვდა

სათვალის ნამსხვრევით გახსნილი მკვლელობა

ბათო ჯაფარიძე

როცა ადამიანი შინ კვდება, იშვიათია, ოჯახის წევრები ექსპერტიზას დათანხმდნენ. მიზეზი მარტივია – ოჯახის წევრებს არ სურთ, რომ გარდაცვალების შემდეგ, მათი საყვარელი ადამიანი კიდევ „აწამონ“, გაკვეთონ, ანალიზები აუღონ... მათ ხომ ისედაც იციან, რით და რა ვითარებაში გარდაიცვალა...

„ერთ დღეს, კონკრეტულ მისამართზე გამოგვიძახეს. ოჯახის წევრები ამბობდნენ, ჩვენი ბებია უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპაო და მხოლოდ ერთადერთი შვილიშვილი, 20 წლის გოგონა გაჰკიოდა ბოლო ხმაზე, გინდა თუ არა, ბებია ექსპერტიზაზე გადაასვენეთ, სიკვდილის რეალური მიზეზი რომ დადგინდესო. მისი ასეთი ახირება ვერავის აეხსნა, მაგრამ რადგან დანარჩენებმა ვერ გადააფიქრებინეს, 90-ს მიტანებული, ფაშფაშა ქალი ექსპერტიზაზე გადაიყვანეს“, – იხსენებს ძალიან საინტერესო ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ის პერიოდია, როცა ექსპერტიზას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და რაც მთავარია, ახალი ტექნოლოგიები შემოდის. ოფიციალური ვერსიით, ბებია უხერხულად წაიქცა, კეფა იატაკზე მდგარ ჭიქას დაარტყა, ჭიქა გატყდა და ქალს კეფაში შეერჭო. ის ადგილზე გარდაიცვალა და ამ დროს, მის გარდა, შინ არავინ იყო. მალე შვილი დაბრუნდა, ცოლთან ერთად, შემდეგ შვილიშვილიც მოვიდა და იმის მიუხედავად, რომ სასწრაფო დახმარების მანქანაცა და უბნის რწმუნებულიც ადგილზე დახვდნენ, გოგონა ლამის ისტერიკაში ჩავარდა, ბებია ექსპერტიზაზე გადაიყვანეთო.

ყველაფერთან ერთად, ექსპერტმა სახლშიც იმუშავა და გატეხილი ჭიქის ნამსხვრევები სულ სათითაოდ შეაგროვა, კარადაც კი გამოსწია, ერთი ნამსხვრევი იქაც არისო.

პრაქტიკულად, ექსპერტმა ახალი არაფერი თქვა, ქალს ძალადობის კვალი არ ეტყობოდა, მკერდთან მცირე ჩალურჯება კი ჰქონდა, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ შესაძლებელი იყო, ეს საკუთარი ხელითაც მიეღო, მაგალითად, ხველების დროს, მკერდში რომ ჩაერტყა. არანაირი საძილე საშუალება, არანაირი სხვა გარე ზემოქმედების ნიშანი, თუმცა...

„საბედნიეროდ, ბევრი გვამი არ იყო და უსაქმოდ ყოფნას თქვენი მოტანილი ჭიქის აწყობა გადავწყვიტე. ჰოდა, ავაწყვე ჭიქა და ერთი ნატეხი ზედმეტი აღმოჩნდა, არადა, ახალი ნატეხია, მასზე კი სისხლია ანუ ის იმ დროს მოხვდა ბინაში, როცა ეს ქალი მოკვდა. დეტალური ექსპერტიზის შემდეგ კი დავადგინე, რომ ეს არის სათვალის ნატეხი და მის მფლობელს მხედველობის პრობლემა აქვს, +2.5-ია. ამასთან, სათვალეზე ბებიის სისხლის გარდა, იყო კიდევ სხვა სისხლი – მამაკაცის ანუ სავარაუდო მკვლელის და ბებიას ხელი ოდნავ გასერილი აქვს, ისე ჩანს, თითქოს ხელისგული მიარტყა ვიღაცას თვალთან და სათვალე ჩაუმსხვრია“, – უთხრა ექსპერტმა გამომძიებელს.

ექსპერტის დასკვნა შოკისმომგვრელი იყო. ყველა ელოდა, რომ შვილიშვილი, უბრალოდ, აჭარბებდა, ახლა კი აშკარად მკვლელობა იყო, მაგრამ როგორ, რანაირად? მოხუც ქალს, წესითა და რიგით, არც შვილი მოკლავდა, არც – რძალი და მით უმეტეს, არც – შვილიშვილი, რომელიც ბოლო ხმაზე გაჰკიოდა, ექსპერტიზის ჩატარებას ვითხოვო. ლოგიკურად გაჩნდა ეჭვი, რომ შვილიშვილმა რაღაც იცოდა და ვარაუდობდა, რომ შესაძლოა, ბებია ვინმეს მოეკლა, ამიტომ დაკითხვაზე დაიბარეს.

„თქვენ, ალბათ, ხუმრობთ. რას ჰქვია, ეჭვი მკვლელობაზე გაქვთ, ვის უნდა მოეკლა ბებიაჩემი?“ – პირი დააღო შვილიშვილმა და არანაკლებ გაოცებულ გამომძიებლებს შეხედა.

სამართალდამცავებმა გაახსენეს, როგორი განწირული ხმით ყვიროდა გოგონა, ბებია ექსპერტიზაზე წაიყვანეთ, ისე არ დავმარხავო და შვილიშვილმაც ყველაფერი მარტივად ახსნა.

„დაახლოებით, ორი თვის წინ, ჩვენი ოჯახის მეგობარი ადვოკატი მოვიდა და გვითხრა, რომ ბებიამ ანდერძი დაწერა. ყველაფერი, რაც გვაქვს, სწორედ მის სახელზეა და მართალია, ადვოკატს დეტალები არ უთქვამს, მაგრამ მე თვალი ჩამიკრა და ცუდად იხუმრა, ყველაზე მეტად, ბებიის სიკვდილი ამას აწყობსო. ამიტომაც, სწორედ ის სიტყვები გამახსენდა და ისტერიკაც მაგიტომ დამემართა“, -განაცხადა გოგონამ.

გამომძიებლებმა სათვალის ნატეხის შესახებ არც მას და არც ოჯახის სხვა წევრებს არაფერი უთხრეს, გადაამოწმეს, რომელი იყენებდა სათვალეს და აღმოჩნდა, რომ სათვალე ოჯახის ერთ წევრსაც არ ეკეთა, ბებია კი -1.5-ს მოიხმარდა. დაიწყო გრძელი პროცესი.

„სათვალის ნატეხი ჩვენი მთავარი სამხილი იყო და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გაგვიხარდებოდა, როცა გავიგეთ, რომ ჩვენთვის საჭირო ზომა სათვალეს, სწორედ გოგონას მიერ ნახსენები ადვოკატი ხმარობდა. რაც მთავარია, მისი ნახვის შემდეგ, ეჭვი უფრო გაგვიმყარდა, რადგან ადვოკატს თვალთან მცირე ზომის ნააიარევი ეტყობოდა, რომელზეც აგდებულად თქვა, სათევზაოდ ვიყავი და ხის ტოტს „წავახიეო“. ახლა მთავარი ის იყო, რა ეწერა ანდერძში და რამდენად ჰქონდა ადვოკატს ბებიის მოკვლის მოტივი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

საინტერესოა ისიც, რომ გარდაცვლილი კარს ყოველთვის კეტავდა ანუ მკვლელს კარი თავად გაუღო და ბინაში შეუშვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იცნობდა. ადვოკატის ვერსია სარწმუნოდ ამიტომაც ჩანდა, თუმცა გამოძიებას სამი იმედგაცრუება ელოდა – პირველი ის, რომ ადვოკატის სისხლის ჯგუფი არ დაემთხვა სათვალეზე აღმოჩენილს და მეორე, ანდერძში არაფერი იყო ნათქვამი ადვოკატზე ანუ იქ ეწერა, რომ ადვოკატმა მომსახურებისთვის ჯამაგირი მიიღო, მისთვის არაფერი იყო გადასახდელი და ყველაფერს ერთადერთ შვილიშვილს ანუ გოგონას უტოვებდა. ყველაფერში კი, ორი ბინის გარდა, აგარაკიც შედიოდა.

და მესამე – ადვოკატის მეგობრებმა დაადასტურეს, რომ მან თვალთან დაზიანება მართლაც თევზაობის დროს მიიღო.

გამოძიება ჩიხში შევიდა. გამომძიებლებმა სამეზობლოს მამაკაცებიც კი გადაამოწმეს, საჭირო ნომრით სათვალე მხოლოდ ერთს ჰქონდა, მისი სისხლის ჯგუფიც შეამოწმეს, მაგრამ ამაოდ. რომ არა უცხო და რაც მთავარია, ახალი სისხლი სათვალის ნატეხზე, გამომძიებლები ჩათვლიდნენ, რომ ეს სათვალე წლების წინ გაუტყდა ვინმეს, მაგრამ ახლა ფაქტს ვერ ემალებოდნენ – ნატეხი ადგილიც ახალი იყო და რაც მთავარია, სისხლი, რომელსაც ვერსად გაექცეოდნენ. გადაწყდა, ოჯახის წევრებისთვის ეკითხათ, იყო თუ არა მათ შორის ისეთი, ვინც +2.5 სათვალეს ატარებდა და პირდაპირ თუ ირიბად, ბებიის მოკვლის სურვილი ექნებოდა. რატომღაც, პირველად ისევ შვილიშვილის დაკითხვა გადაწყდა. როცა ის გამოკითხვაზე დაიბარეს, ახალგაზრდა კაცი მიჰყვა, რომელზეც გოგონამ მორიდებით თქვა, ჩემი საქმროაო.

„საქმროს შევხედე და სახე ვერ გავარჩიე, რადგან მხოლოდ ორ რამეს ვხედავდი – ნაიარევს თვალთან და სათვალეს. გოგონა დასაკითხ ოთახში შევიყვანე, ოპერმუშაკებს კი ვუთხარი, რომ მამაკაცისთვის სისხლის ანალიზი აეღოთ და სათვალის ზომაც შეემოწმებინათ. დაკითხვა მაქსიმალურად გავწელე, შვილიშვილს სათვალეზე კვლავ არაფერი ვუთხარი, შიგადაშიგ საქმროზეც ვკითხე, არჩევანი შევუქე და მითხრა, ბებიის სიკვდილი რომ არა, ქორწილსაც ვაპირებდით, ახლა ცოტა ხნით გადავდეთო. ამ დროს მაგიდაზე ორივე ანალიზის პასუხი დამიდეს – გამოძიებისთვის მეტად საჭირო პასუხი. გოგონას დავემშვიდობე და ისე, რომ არც მითქვამს მისი საქმროს დაკავების ამბავი, შინ გავისტუმრე. კი გაუკვირდა, რატომ არ დამელოდა, ალბათ, საქმე გამოუჩნდაო, მაგრამ უდარდელად წავიდა. მე კი მკვლელთან საუბარი მელოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

„ჩემი არაფერი გამაჩნია, ნაქირავებში ვცხოვრობ. ბედმა ამ გოგოს შემახვედრა, რომ გითხრათ, გავგიჟდი-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ კარგი ვარიანტი იყო, დედისერთა, შეძლებული. წინა დღეს გამიმხილა, ადვოკატი გამეხუმრა, მგონი, ბებია ყველაფერს მე მიტოვებს, მშობლებზეც კი აღარ ვიქნები დამოკიდებულიო. რა თქმა უნდა, სიხარულით კინაღამ გავგიჟდი, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ჭერი მექნებოდა, თუმცა... პარალელურად, მყავდა შეყვარებული, რომელიც ნამდვილად მიყვარდა. მას შევხვდი, უნდა ამეხსნა, რომ ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თავდავიწყებით ვკოცნიდი, როცა თავზე ბებია დამადგა და მითხრა, ჩემს შვილიშვილს დაემშვიდობე, ახლოს არ გაგაკარებო. თავზარი დამეცა, ცოტა ხანი ფეხზე ადგომაც ვერ მოვახერხე, მერე კი წავედი, რათა როგორმე ბებია გადამერწმუნებინა. კარი გამიღო, ოთახში შემიძღვა, ჭიქით წყალს სვამდა და ჯერ წყალი შემასხა სახეში, მერე ხელი დამარტყა თვალთან. ინსტიქტურად ვკარი ხელი, ჭიქამ რა ტრაექტორია მოხაზა, ახლაც არ ვიცი, მაგრამ ჯერ ჭიქა დაეცა და წამის მეათასედში – ბებია კეფით. იქვე გათავდა. სათვალის ნამსხვრევები მოვაგროვე, მეგონა, ყველა ვიპოვე და ბინიდან გავედი. შემდეგ მუდმივად ვკითხულობდი, რას აკეთებდა გამოძიება და რადგანაც სათვალესა და ჩემს სისხლზე სიტყვაც კი არავინ დაძრა, ჩავთვალე, რომ გამოვძვერი. დაკითხვაზე წამოსვლა თავად მთხოვა და მეც სწორედ ამიტომ გავრისკე, მჯეროდა, რომ ჩემზე არაფერი გქონდათ“, – აღიარა დაკავებულმა.

მომხდარის მიუხედავად, სასამართლომ ბიჭი გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვის გაასამართლა და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა ახალი წელი საინტერესო იყო – მშობლებს სამსახურში ნაძვის ხის ბილეთებს აძლევდნენ, ნაძვის ხის ზეიმი ყველა სოფლისა თუ რაიონის კულტურის სახლში იმართებოდა, ბავშვები მიდიოდნენ, უყურებდნენ საბავშვო წარმოდგენებს, შემდეგ მშობლებისთვის მიცემული ბილეთებით საჩუქრებსაც იღებდნენ, სადაც ძირითადად საბჭოთა ტკბილეული იყო და რაც მთავარია, ბავშვებს გულწრფელად უხაროდათ და სჯეროდათ, რომ თოვლის პაპა არსებობდა, სასწაულებს ახდენდა და ოცნებებს ასრულებდა... ერთი ეგ იყო, ბავშვებისთვის საახალწლო ატრიბუტიკა მოიკოჭლებდა ანუ ერთფეროვანი იყო და, პრაქტიკულად, ყველა რესპუბლიკაში, ნაძვის ხის სათამაშოები თუ საახალწლო ნიღბები ერთმანეთს ასი პროცენტით ემთხვეოდა, თუმცა რაღა ნიღბები, ძირითადად ორი სახეობა იყო – კურდღლისა და მგლის. ესეც საბჭოთა გავლენა გახლდათ, ცნობილი მულტფილმის „აბა, დამაცადე“-ს გაგრძელება და მგლის ნიღაბს მუდმივად ბიჭებისთის ყიდულობდნენ, კურდღლისას – გოგონებისთვის...

როგორ იძია ბიჭმა გოგოზე შური, რომელმაც ცოლობაზე უარი უთხრა

„ბოღმა ჩავიდე გულში... მინდოდა, ჩემგან დაორსულებულიყო“, – დამნაშავის აღიარება

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში სახლი დაიწვა. სახანძრო მალე მივიდა, თუმცა მანამდე, მეზობლებმა მოახერხეს ცეცხლის ჩაქრობა და ხანძრიდან ორი ადამიანის გამოყვანა. ახალგაზრდა ბიჭი და გოგო მხნედ იყვნენ, კვამლი ჰქონდათ ნაყლაპი და დამწვრობაც აღენიშნებოდათ. სასწრაფო დახმარების მანქანამ ორივე თბილისში, დამწვრობის ცენტრში გადაიყვანა. სამართალდამცავები, როგორც ადგილზე, ისე, საავადმყოფოში მუშაობდნენ, მაგრამ დაშავებულთა დაკთხვა ჯერჯერობით არ შეიძლებოდა, ექიმებმა 24 საათი ითხოვეს, აზრზე უნდა მოვიყვანოთო. სოფელში კი მოსახლეობა მხრებს იჩეჩდა, ორი თვეა, ამ სახლის პატრონი, მოხუცი ქალი გარდაიცვალა, შვილიშვილები იყვნენ ჩამოსულები, სახლი დაკეტეს და მას შემდეგ არავინ გვინახავს, არც კი ვიცოდით, შიგნით თუ ვინმე იყოო.

სამაგიეროდ, მეხანძრე ექსპერტმა თქვა, „კერასინკა“ გადაყირავდა და ცეცხლიც მაგან გააჩინა, ალბათ, ახალგაზრდებს ეძინათ და „კერასინკას“ ფეხი შემთხვევით წაარტყეს, რადგან დამწვარი ლეიბი და საბანი იატაკზე ეწყოო. ჰო, იქვე მეხანძრეებმა დამწვარი თოკიც ნახეს, თუმცა დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ.

„როცა საავადმყოფოში მეორე დღეს მივედი, ექიმმა მითხრა, ორივეს დაკითხვა შეგიძლიაო და ჯერ გოგონას დაკითხვა გადავწყვიტე. როცა დამინახა, უნდობლად შემომხედა, მერე კი, როცა საბუთი ვანახე, მითხრა, თუ ნამდვილად მილიციის თანამშრომელი ხართ, ჩემთან ერთად ბიჭიც უნდა ყოფილიყო და ის დაიჭირეთო. რეალურად, მან არ იცოდა, რომ ბიჭი მეორე პალატაში იწვა და როცა ვუთხარი, აქვე, შენს გვერდით წევს-მეთქი, სახეზე არაადამიანური შიში გამოესახა და კივილი დაიწყო. კივილზე ექიმები შემოცვივდნენ, ზიზღით შემომხედეს, მე კი პალატიდან გავედი და იმ ბიჭის ნახვა გადავწყვიტე, რომლისაც გოგონას ასე ძალიან ეშინოდა, თუმცა“... – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

პალატა, სადაც ბიჭი უნდა ყოფილიყო, ცარიელი გახლდათ. ექიმებმაც და ექთნებმაც მხრები აიჩეჩეს, დილით აქ იყო და, სავარაუდოდ, საპირფარეშოშია, ვერსად წავიდოდა, რადგან ტანსაცმელი დამწვარი ჰქონდა და ზეწარშემოხვეული, სრულიად შიშველი იყოო. ბიჭი არც საპირფარეშოში აღმოჩნდა და ამ დროს ერთმა ექიმმა თქვა, გასახდელიდან ჩემი შარვალი, პერანგი და ფეხსაცმელია მოპარულიო. ცხადი გახდა, ბიჭმა მოიპარა და საავადმყოფო დატოვა. ყველაზე ცუდი კი ამ ამბავში ის გახლდათ, რომ მის ზუსტ აღწერილობას ვერავინ იძლეოდა – ხანძრის გამო, მთელი სახე გამურული ჰქონდა, თმის ნაწილი – შეტრუსული, როცა სახის მოწმენდა დაუპირეს, ძალიან მეწვისო, თქვა და ზემოდან დამწვრობის მალამო სქელ ფენად დაადეს ანუ მისი აღწერა წარმოუდგენელი იყო. გამომძიებელი ისევ გოგონასთან დაბრუნდა.

„რაიონში, ტექნიკუმში ვსწავლობ, შაბათ-კვირას კი შინ მივდივარ, ოჯახმა იმიტომ არ მომძებნა, რომ ორშაბათს ანუ ოთხიოდე დღის წინ, მომიტაცეს. ქუჩაში მივდიოდი, თავში რაღაც მძიმე მომხვდა და იმ სახლში გავიღვიძე, სადაც შემდეგ ცეცხლი გაჩნდა. არ ვიცი, სად არის ეს სახლი, ისიც არ ვიცი, ვისი სახლია. აზრზე რომ მოვედი, მივხვდი, ჩემზე იძალადეს. შემდეგ გამოჩნდა ის ბიჭი, რომელმაც ყველაფერი ეს გააკეთა, ყელზე დანა დამადო და ჩემზე კიდევ იძალადა. ასე გრძელდებოდა ოთხი დღის განმავლობაში, საკვები მომარაგებული ჰქონდა და რომ არ შეგვცივნოდა, „კერასინკას“ ანთებდა, ოღონდ დღისით, ღამით მაქსიმალურად უწევდა, შუქს არ ანთებდა და მივხვდი, არ სურდა, ვინმეს სახლში სინათლე დაენახა. ლეიბი იატაკზე იდო, მე თოკით ვყავდი მიბმული. იმ ღამით რომ დაეძინა, ვიწვალე და „კერასინკას“ ფეხით მივწვდი, ავაყირავე და ხანძარი გაჩნდა. კვამლის გამო, გონება დავკარგე, დანარჩენი თქვენც იცით“, – განაცხადა გოგონამ.

მან არ იცოდა, ვინ იყო მოძალადე, არ ეცნობოდა ხმაზე, ბიჭს არ ჰქონდა სვირინგი ან სხვა დამახასიათებელი ნიშანი. სასწავლებელში, მეზობლებსა და სამეგობროში გოგონა დადებითად ხასიათდებოდა, წესით, მტერი არ უნდა ჰყოლოდა და ეს საქმეს უფრო ართულებდა, რადგან თუ შემთხვევითმა ადამიანმა მოიტაცა, შესაძლებელი იყო, მისი ძებნა დაუსრულებლად გაგრძელებულიყო.

სამართალდამცავებმა აფთიაქები გააფრთხილეს, ვინმე დამწვრობის მალამოს თუ შეიძენდა, მაშინვე ეცნობებინათ, მაგრამ ექიმებმა არადამაიმედებელი პროგნოზი თქვეს – ბიჭის დამწვრობები არ არის ისეთი, აუცილებლად მალამო დასჭირდეს და შესაძლებელია, მალამო საერთოდაც არ იყიდოსო. გამოძიება მაინც იმედიანად იყო, მაგრამ ამაოდ – სამი დღე გავიდა და აფთიაქებში დამწვრობის მალამო ათამდე ადამიანმა იყიდა, თუმცა ყველას გადამოწმების შემდეგ, ეჭვი მოიხსნა – ზოგს ცხელი ჩაი გადაესხა, ზოგმაც სამსახურში, შედუღების აპარატზე დაიწვა ხელი, ვიღაცამ ასანთს გაჰკრა არასწორად და პროფილაქტიკის მიზნით, ნემსის ყუნწის ოდენა დამწვარ ადგილზე მალამო წაისვა.

„გადავწყვიტეთ, გოგონას გარემოცვა, ნაცნობები, მეგობრები შეგვესწავლა საფუძვლიანად, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. არ იყო ხელმოსაჭიდი არაფერი, უფრო ზუსტად, საერთოდ არაფერი, რადგან არ ჰყავდა არც გამწარებული თაყვანისმცემელი, არც – საქმრო... ორიოდე წლის წინ, ვიღაც ბიჭს უყვარდა, თუმცა შემდეგ იმ ბიჭმა სხვა შეიყვარა, ცოლადაც მოიყვანა და ამ გოგონას არსებობა არც კი ახსოვდა. რაც შეეხება საბავშვო მგლის ნიღაბს, ის თითქმის ყველა სახლში იყო შენახული და ახალ წელს, პატარები სწორედ ამ ნიღბებით დარბოდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან ორი თვე გავიდა და დანაშაული, რომელიც ძალიან მძიმე იყო, გამომძიებლების თავზე დამოკლეს მახვილივით ეკიდა. სამინისტრო საქმის გამოძიებას ითხოვდა, გაჩნდა ეჭვი, რომ საქმე სერიულ მოძალადესთან ჰქონდათ, თუმცა ძალოვნების საბედნიეროდ, ახალი შემთხვევა აღარ განმეორდა და ისინიც თავს იმშვიდებდნენ, თუმცა იმასაც აღნიშნავდნენ, რომ საქმე აუცილებლად უნდა გამოძიებულიყო.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში შემთხვევითი დანაშაულები ძალიან იშვიათი იყო, გამომძიებლები კვლავ დაზარალებული გოგონას გარშემო ტრიალებდნენ – კიდევ რამდენჯერმე დაკითხეს, მაგრამ ახალი ვერაფერი გაიგეს. გოგოს სტრესიც ჩავლილი იყო, ახალი დეტალებიც აღიდგინა, სახლში საოჯახო ნივთების განლაგებასაც დაწვრილებით მოჰყვა, მაგრამ არაფერი იყო ისეთი, რაც ძიებას ხელჩასაჭიდს მისცემდა.

„სამი თვის თავზე გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ გავსაუბრებოდი დაზარალებულს. ეს იქნებოდა ბოლო მცდელობა, რომ რამე ახალი გაეხსენებინა და სახლში დაუკითხავად მივადექი. დაუკითხავად იმიტომ, რომ წინასწარ არ ეფიქრა, ამას თუ მკითხავს, ასეთ პასუხს გავცემო. დედასთან ერთად, გოგონა წიგნების თაროს ალაგებდა, მითხრა, თქვენი ნებართვით, გავაგრძელებ დალაგებასო და მეც წინააღმდეგი არ წავსულვარ. კითხვა-პასუხი ისევ უინტერესო იყო და გადმოლაგებულ წიგნებს შორის, საოჯახო ალბომიც შევნიშნე. თქვენი ნებართვით, დავათვალიერებ-მეთქი და დედა-შვილმაც მხრები აიჩეჩეს, დაათვალიერეთო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სურათების თვალიერების დროს, გამომძიებელი საბავშვო ბაღში, საახალწლო ზეიმზე გადაღებულ ფოტოს გადააწყდა, სადაც ოთხ ბავშვს სახეზე მგლის ნიღაბი ეკეთა. სურათი მაშინვე გოგონას აჩვენა და მან ოთხივე შეუცდომლად დაასახელა. სურათზე ნანახი ბავშვების სახელები გამომძიებელმა ჩაიწერა და საქმეს შეუდგა. ოთხიდან სამი მალე გამოირიცხა, რადგან ისინი ექსპერტებთან ერთად ნახეს და ახალი დამწვრობის კვალი არ აღენიშნებოდათ. ექიმებისგან სამართალდამცავებმა დეტალურად იცოდნენ, რომ საავადმყოფოდან გაქცეულ ეჭვმიტანილს ყველაზე ღრმა დამწვრობა მარჯვენა ფეხის წვივზე ჰქონდა. როცა მეოთხესთან მივიდნენ, მან კოჭლობით გამოხედა ძალოვნებს და უხალისოდ დაიწყო საუბარი. ფორმალური კითხვების შემდეგ, სამართალდამცავებმა მარჯვენა ფეხის ჩვენება მოსთხოვეს. ბიჭმა შარვალი უხალისოდ აიწია და ჯერაც მოუშუშებელი, დამწვარი ადგილი გამოაჩინა. ის მაშინვე დააკავეს.

„ეგ თქვენი გოგონა არც ისეთი ანგელოზია, როგორადაც თავი მოაქვს. მთელი ცხოვრება მიყვარდა – ბაღში, სკოლაში... სწავლით არ გამოვირჩეოდი, მაგრამ პატიოსნად ვშრომობდი ფერმაში, საქონელს ვუვლიდი, ტრაქტორისტის კურსებზეც დავდივარ და მალე ტრაქტორზე გადავალ. არცთუ დიდი ხნის წინ, ცოლობა ვთხოვე და ხომ შეიძლებოდა, უბრალოდ, უარი ეთქვა. მან კი პირდაპირ მომახალა, ისეთი სუნი გაქვს, მწველავი მოიყვანე, სხვა არავინ გამოგყვებაო. ბოღმა ჩავიდე გულში, შემდეგ შემთხვევით გადავაწყდი. ის სახლი ცარიელი მეგულებოდა, გადაწყვეტილება წამებში მივიღე და მერე კი იცით, რაც მოხდა. ვაპირებდი თუ არა გაშვებას? – არა, მინდოდა ჩემგან დაორსულებულიყო, მერე უკვე იძულებული გახდებოდა, დარჩენილიყო“, – გაანცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ ბიჭის „ინიციატივა“ შესაბამისად გაიგო და მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

პოლიციამ თბილისში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი– სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.მ. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 24 ივნისს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით დაზიანებები მიაყენა 1996 წელს დაბადებულ გ.ვ.-ს, 1991 წელს დაბადებულ თ.ბ.-ს, 1987 წელს დაბადებულ ე.ჩ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეუთოს პროექტის გახსნის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ეუთოს (OSCE) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის სიმულაციური სწავლების – „ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა: სიმულაციური ხასიათის ეროვნულ ტრენინგზე დაფუძნებული მდგრადი თანამშრომლობა“ – გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო.

ღონისძიების ფარგლებში, მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ და ტრეფიკინგის საკითხებში ეუთოს სპეციალურმა წარმომადგენელმა ვალიან რიჩიმ.

ალექსანდრე დარახველიძემ ისაუბრა ქვეყანაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მიმართულებით არსებულ სიტუაციაზე, უკანასკნელი წლების განმავლობაში, ამ სფეროში გატარებულ მნიშვნელოვან რეფორმებზე, გამოწვევებსა და სიმულაციური ხასიათის ტრენინგის მნიშვნელობაზე. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეუთოს (OSCE) მადლობა გადაუხადა პროექტის მხარდაჭერისა და წლების განმავლობაში ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, ტრენინგის მონაწილეებს კი წარმატებები უსურვა.

პროექტის მიზანია, საქართველოში ტრეფიკინგის თემატიკაზე სიმულაციური ხასიათის სწავლების დანერგვის ხელშეწყობა, რომლის მეშვეობით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული უწყებების წარმომადგენლები ეფექტიანად გამოავლენენ და გამოიძიებენ შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ჩადენილი ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან 170 მოქალაქე უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტიდან, უხვი ნალექის შედეგად, საავტომობილო გზაზე მოძრაობის შეზღუდვის გამო, რეგიონში ჩარჩენილი მოქალაქეების გამოყვანის პროცესი შეუჩერებლად მიმდინარეობს.

რეგიონში მყოფი მოქალაქეების უსაფრთხო ადგილზე გაყვანის მიზნით, პროცესში სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლები დაუყოვნებლივ ჩაერთნენ, დღეს დილიდან კი, სამაშველო ღონისძიებაში სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენები ჩაერთო.

სასაზღვრო პოლიციის ორი ვერტმფრენის მიერ განხორციელებული ფრენების შედეგად, მეხანძრე მაშველებმა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან 170 პირი, მათ შორის, ტურისტები და არასრულწლოვნები უსაფრთხო ადგილას უკვე გადაიყვანეს. სამაშველო ღონისძიება გრძელდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში დაანონსებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი დახურული ღონისძიებების უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ჩართულობით, გაეროს, „თბილისი პრაიდის“, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, ასევე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების მონაწილეობით, კვირეულის უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით, ბოლო პერიოდში, არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიიღებს ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყოფილ იქნას „თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილი დახურული ღონისძიებების უსაფრთხო ფორმატში ჩატარება, მართლწესრიგის დაცვა, აგრეთვე, კვირეულის ფარგლებში, თითოეული ადამიანის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებების დაცვა, რომელიც არ გასცდება კანონით დასაშვებ ფარგლებს.

ამასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ გარკვეული ჯგუფები გეგმავენ აღნიშნული კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი დახურული ღონისძიებების ჩაშლას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გმობს ნებისმიერი სახის ძალადობას და მოუწოდებს „პრაიდკვირეულის“ მოწინააღმდეგე ჯგუფებს დაიცვან კანონი, დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს და არ გასცდნენ კანონით დასაშვებ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის ფარგლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიცია იმოქმედებს საკუთარი მანდატის ფარგლებში, სამართალდარღვევის თითოეული ფაქტი აღიკვეთება და მკაცრი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ოთხი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, თბილისში, შიდა ქართლსა და იმერეთში, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და ოთხი პირი დააკავეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1993 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ლ.ბ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, პისტოლეტი, მჭიდი და 7 ვაზნა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი – 1971 წელს დაბადებული რ.ფ. და 1980 წელს დაბადებული კ.გ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ჯგუფურად გასაღების ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სხვადასხვა დროს, ბრალდებულებმა შეიძინეს 9 პისტოლეტი, რომელთა ნაწილი ჯგუფურად, უკანონოდ გაასაღეს, ნაწილს კი მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდნენ.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1994 წელს დაბადებული გ.ნ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ხაშურში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე სათავსოებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს გადაჭრილი თოფი – ე.წ. აბრეზი და 8 ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ჯგუფურად გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

ახალი კონტრაქტი თუ მამარდაშვილი „მანჩესტერში“?

ესპანური „ვალენსია“ მზადაა, გიორგი მამარდაშვილს კონტრაქტი 2027 წლამდე გაუგრძელოს და მის გამოსასყიდ თანხად 100 მილიონი ევროც ჩაწეროს. ხელშეკრულების გაგრძელების წინააღმდეგი არც ქართველი კიპერია, მაგრამ ვადაზე ადრე კონტრაქტის გახანგრძლივება ავტომატურად გულისხმობს იმას, რომ გიორგის ჯამაგირიც უნდა გაეზარდოს. ამას კი „ვალენსია“ იმ მიზეზით ვერ ახერხებს, რომ სახელფასო ბიუჯეტის გაზრდით, საფინანსო ფეარ-ფლეის პრინციპს დაარღვევს და ჯარიმა არ ასცდება. ამიტომ, „ღამურებმა“ რომელიმე ფეხბურთელი უნდა გაყიდონ და გიორგის ხელფასი მის ხარჯზე გაუზარდონ. ალბათ იფიქრებთ, ასეთი სიჩქარე რა საჭიროა, მამარდაშვილს კონტრაქტი ისედაც 2025 წლამდე აქვსო, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მოქმედ კონტრაქტში გიორგის გამოსასყიდ თანხად 20 მილიონი წერია და ამ თანხას „მანჩესტერ იუნაიტედი“ იხდის. როგორც ესპანური მედია წერს, ინგლისური კლუბის მესვეურები „ვალენსიას“ წარმომადგენლებს უკვე ესაუბრნენ და მამარდაშვილის გაყიდვა შესთავაზეს.

გიორგი 21 წლისაა და ყველა ხვდება, რომ კლუბი, რომელიც მას გადაიბირებს, მეკარის პოზიციას ყველაზე ცოტა, 10 წლით მოაგვარებს. შედეგად, „მანჩესტერი“ წინ იხედება და ქართველს დევიდ დე ხეას შემცვლელად მიიჩნევს, „ვალენსია“ კი ძალიან კარგად ხვდება, რომ წელს თუ არა გაისად, ამ დონის კიპერს არავინ შეარჩენს და გრანდები აუცილებლად წაართმევენ. ამიტომ ცდილობს ხელშეკრულებაში 20 მილიონის ნაცვლად 100 ჩაწეროს, რადგან 20 მილიონი გრანდებისთვის „მზესუმზირას“ ფულია. ჰოდა, ახლა ისაა გასარკვევი, რომელ მოთამაშეს შესწირავენ მამარდაშვილს ზვარაკად.

„ნაპოლიში“ კვარაცხელიას დებიუტი 14 ივლისს შედგება

ხვიჩა კვარაცხელია ქართველ გულშემატკივარსა და ბათუმის „დინამოს“ ოფიციალურად 29 ივნისს, „დინამო“ ბათუმისა და „დინამო“ თბილისის შეხვედრის დაწყებამდე დაემშვიდობება და გეზს იტალიისკენ აიღებს. ნეაპოლში ჩვენებურს უკვე ელიან, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტსაც გააფორმებს. კლუბის მენეჯმენტის გარდა, კვარაცხელიას გულშემატკივარიც მოუთმენლად ელის. ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების შემდეგ, ხვიჩას „კვარადონა“ შეარქვეს და ჩვენებური დიეგო მარადონას სახელობის სტადიონზე ითამაშებს.

„ნაპოლი“ ახალი სეზონისთვის მზადებას 14 ივლისს იწყებს. ლუჩანო სპალეტის გუნდი ამხანაგურ შეხვედრაში სამოყვარულო კლუბ „ანუნიას“ ხვდება. მესამე წელია, „ნაპოლი“ სეზონისთვის სამზადისს სწორედ ამ გუნდით იწყებს და წინა ორ შემთხვევაში, არასაფეხბურთო ანგარიშით: 17:0 და 12:0 მოიგო. სუსტ მეტოქესთან სპარინგით, „ნაპოლი“ წინასასეზონოდ კარგ განწყობას იქმნის.

„ახალი სეზონის სტარტს გულშემატკივარი მოუთმენლად ელის. ისინი უკვე აღმერთებენ გუნდის ახალ შენაძენს, ხვიჩა კვარაცხელიას და ეს იმის მიუხედავად, რომ მას „ნაპოლიში“ ჯერ ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია. ქართველი გარემარბი მათი მთავარი იმედია და იმის გათვალისწინებით, როგორი საგიჟეთია ნეაპოლური კლუბის საშინაო არენაზე, ხვიჩას ბევრის დამტკიცება მოუწევს“, – წერს იტალიური მედია.

საქართველომ, შესაძლოა, ისტორია დაწეროს

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე მსოფლიოს წყალბურთელთა ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპი დასრულდა და ტურნირი პლეი-ოფის სისტემით გაგრძელდება. საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო პირველობაზე პირველად თამაშობს და ამის მიუხედავად, დეიან სტანოევიჩის გუნდმა მერვედფინალში გასვლა მოახერხა, სადაც მეტოქედ ხორვატია ეყოლება.

ხორვატები მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტები არიან და საქართველოს იოლი შეხვედრა ნამდვილად არ ელის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხორვატიამ 2012 წელს, ოლიმპიადა მოიგო, 2017 წელს – ისინი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. აშკარა უპირატესობის მიუხედავად, ქართველებს კიდევ ერთი სასწაულის მოხდენა შეუძლიათ და ხორვატიულ ბარიერს თუ დაძლევენ, მსოფლიოს რვა უძლიერეს ნაკრებს შორის დაიმკვიდრებენ ადგილს.

წივწივაძემ ევროპის ჩემპიონატზე ორი ოქრო მოიგო

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე ნიჩბოსანთა ევროპის ჩემპიონატზე, ალექსანდრე წივწივაძემ ოქროს ორი მედალი მოიპოვა. ჩემპიონატი 19 და 23 წლამდელ ნიჩბოსნებს შორის მიმდინარეობს და ალექსანდრემ ჯერ პირველ დღეს, 200-მეტრიან დისტანციაზე დააფიქსირა საუკეთესო შედეგი, შემდეგ კი კილომეტრიან დისტანციაზეც არავის დაუთმო პირველობა.

საინტერესოა, რომ ევროპის ჩემპიონატზე, ქართული დელეგაციისთვის ოქროს ორი მედალი ნიჩბოსნობაში პირველი შემთხვევაა. წივწივაძისთვის კი ოქრო უცხო არ გახლავთ, მან პირველობა არც შარშანდელ ჩემპიონატზე დათმო.

უკრაინელი ძიუდოისტები საერთაშორისო შეჯიბრებს ჩაეხსნენ

მოგეხსენებათ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, რუსი და ბელორუსი სპორტსმენები ყველა საერთაშორისო ტურნირიდან ჩახსნილები არიან და მათ მონაწილეობის უფლება არ აქვთ. ჰოდა, სეოკ-ის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია წავიდა. მათ რუს და ბელორუს ძიუდოისტებს ტურნირებზე ნეიტრალური სტატუსით მონაწილეობის უფლება მისცეს. ამ გადაწყვეტილებამ უკრაინის ძიუდოს ფედერაცია გააბრაზა.

„ისეთი ლოზუნგების შემდეგ, როგორებიცაა: მეგობრობა, სოლიდარობა, მშვიდობა, სპორტი საზღვრებს გარეშე, ძიუდოს ღირებულებები... ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, როცა რუსი და ბელორუსი სპორტსმენები ტურნირებზე დაუშვა. ამ გადაწყვეტილებამ არა მარტო ჩვენს ფედერაციაში, არამედ, მთლიანად უკრაინაში, დიდი გულისწყრომა გამოიწვია. აღნიშნული ფაქტით იმდენად იმედგაცრუებულები ვართ, რომ უარს ვამბობთ ყველა ტურნირში მონაწილეობაზე, სანამ იქ რუსი და ბელორუსი სპორტსმენები იქნებიან“, – ნათქვამია უკრაინის ძიუდოს ფედერაციის განცხადებაში.

მანე „ბაიერნში“ 32 მილიონად გადავიდა

„ლივერპულის“ სენეგალელი ფორვარდი, სადიო მანე კარიერას „ბაიერნში“ გააგრძელებს. ინგლისურმა კლუბმა მის სანაცვლოდ 32 მილიონი ევრო უკვე მიიღო და დამატებით 9 მილიონს იმ შემთხვევაში მოიგებს, თუ გერმანული გრანდი შიდა ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაზე იმარჯვებს. 30 წლის ფორვარდი „ლივერპულში“ წლიურად 12 მილიონ ევროს იღებდა, გერმანიაში კი წლიურად 20 მილიონს მიიღებს. ეს ყველაფერი რეკორდმაისტერისთვის დიდი ხარჯია და ამიტომ, ისინი ცდილობენ მაქსიმუმი მიიღონ რობერტ ლევანდოვსკის გაყიდვით, რომლის გადაბირებაც „ბარსელონას“ სურს. არადა, 21 აგვისტოს ლევანდოვსკი 34 წლის ხდება, რაც თავდამსხმელისთვის პატარა ასაკი ნამდვილად არ არის. ამის მიუხედავად, „ბარსელონა“ მზადაა, მის სანაცვლოდ 40 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა...

„გადახედეთ რობერტის სტატისტიკას და ნახავთ, რომ ის ნამდვილი ბომბარდირია. ამიტომ, მის სანაცვლოდ 60 მილიონი გვსურს“, – ნათქვამია გერმანული კლუბის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რაც პოლონელის კატალონიური კარიერის პერსპექტივას უდიდეს კითხვის ნიშანს უსვამს. 60 მილიონს „ბარსელონა“ ნამდვილად არ გადაიხდის.

ბეილი ამერიკაში ითამაშებს

2013 წლის 1 სექტემბერს, მადრიდის „რეალმა“ „ტოტენჰემს“ უელსელი შემტევის, გარეთ ბეილის სანაცვლოდ, 100 მილიონი ევრო გადაუხადა და ეს იმ დროს ფეხბურთის ისტორიაში უძვირესი ტრანსფერი იყო. ყველაას ეგონა, რომ ბეილი იმაზე უკეთ ითამაშებდა, ვიდრე ამას „ტოტენჰემში“ აკეთებდა, რადგან „სამეფო გუნდში“ უკეთესი თანაგუნდელები ეყოლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მან იმედები ვერ გაამართლა და იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულება ერთხელ გაუგრძელეს, ახლა, როცა კონტრაქტი ამოეწურა, გუნდიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვეს.

წესითა და რიგით, ბეილის უფასოდ ხელში ჩაგდების სურვილი ბევრ კლუბს უნდა გასჩენოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში გაირკვა, რომ 100 მილიონად გაყიდული ფეხბურთელი ევროპაში არავის უნდა. არადა, ბეილი 32 წლისაა, უელსის ნაკრებს კაპიტნობს და წელს გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ძალიან უნდა. სწორედ ამიტომ, მან სასწრაფო წესით, კონტრაქტი ამერიკულ „ლოს ანჯელესთან“ გააფორმა და კარიერას ოკეანის გაღმა გააგრძელებს. „ლოს ანჯელესში“ გადასვლის სანაცვლოდ, ბეილმა მუდმივი სათამაშო პრაქტიკის გარანტია და რაც მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრებში მოხვედრის შესაძლებლობა მიიღო. მთავარი მწვრთნელის მოთხოვნა სწორედ ეს გახლდათ, რომ ბეილს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა უნდა ჰქონოდა და ამერიკაში ეს ნამდვილად ექნება.

ყატარში სექსი აიკრძალა

მოგეხსენებათ, მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატი ყატარში გაიმართება და გარდა იმისა, რომ საქომაგოდ ჩასულ გულშემატკივრებს იქაური წესების დაცვა მოუწევთ, არის ისეთი აკრძალვებიც, რომლებიც აქამდეც იწვევდნენ ვნებათაღელვას, გასულ კვირას გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ კი ყველა გააოცა.

იქაური კანონების თანახმად, დაუქორწინებლებს შორის სექსი აკრძალულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვისაც ყატარის მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა მეგობარ გოგონასთან ერთად სურს, უნდა გაითვალისწინოს, რომ ქორწინების მოწმობის გარეშე, მათ სასტუმროს ერთ ნომერში ცხოვრების უფლებას არ მისცემენ. იგივე შეზღუდვები ვრცელდება ფეხბურთელებზეც ანუ ვერცერთი ფეხბურთელი მეგობარ გოგონას ვერ შეხვდება და ვერ განმარტოვდება. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ყატარის ხელისუფლება პირობას დებს, ამ პროცესს უმკაცრესად გავაკონტროლებთ, ხოლო ის, ვინც წესს დაარღვევს, ჩვენი კანონებით გავასამართლებთ და შვიდწლიან ციხესაც მივუსჯითო.

ჰო, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ყატარის კანონების მიხედვით, ქუჩაში სექსი არც კი განიხილება ანუ ცოლ-ქმარიც რომ იყვნენ, შესაძლოა, ოცწლიანი სასჯელი მისცენ და ზედ ფულადი ჯარიმაც დააკისრონ. ეს ამბავი ყველაზე მეტად ფეხბურთელების მეგობარ გოგონებს ახარებთ, აქაოდა, სასწრაფო წესით დავქორწინდეთ, თორემ ჩვენს გარეშე, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაგიჭირდებათო.

ისტორიაში პირველად, სიქსტეს კაპელაში, ქართული საგალობლები აჟღერდა

პატრიარქის „ავე მარია“ და სამების გუნდის შთამბეჭდავი კონცერტი ვატიკანში

პირველად ისტორიაში, ვატიკანში, სიქსტეს კაპელასა და წმინდა პეტრეს ტაძარში, ქართული, მრავალხმიანი საგალობლები აჟღერდა. სამების საკათედრო ტაძრის გუნდის კონცერტი გაიმართა და საქართველოს პატრიარქის ილია მეორეს „ავე მარია“ შესრულდა. აღნიშნულ ისტორიულ ფაქტს, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ვატიკანში გამართულ კონცერტს ესწრებოდა, სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

„შარშან, როდესაც წმინდა საყდარს ოფიციალური ვიზიტით ვესტუმრე, მის უწმინდესობა პაპთან შეხვედრისას, ვისაუბრეთ დღევანდელი ლამაზი საღამოს დაგეგმვის შესახებ, ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის აღსანიშნავად.

დღეს ემოციური მომენტის მომსწრენი გავხდით, რომელიც ჩვენს მოგონებებში დარჩება. ჩემი უდიდესი მადლიერება პაპ ფრანცისკეს...

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველო ევროპაში შეიყვანა!“

კარდინალი ჯოვანი ბატისტა რე ვატიკანში, სიქსტეს კაპელაში კონცერტს ასე ეხმაურება:

„ვუსმენდი ქართველების ამ საოცარ ხმას სიქსტეს კაპელაში, მათ „ოროველას“, პური ჩვენი არსობისას საგალობელს, ჰიმნს ღმერთთან მოშორების სევდაზე, პატიოსანი, მუშაკი კაცის მედიტაციას და ცრემლები მდიოდა.

თუ ევროკავშირი ამ ხალხს ჩემი მიწიერი ყოფის განმავლობაში გულში არ ჩაიკრავს, ყველას ანათემას გადავცემ!“

საქართველოს ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი, გიორგი კალანდია სოციალურ ქსელში წერს:

„მეფე მირიანი, წმინდა ნინო, წმინდა შუშანიკი და ქეთევან წამებული ახსენეს დღეს, საზეიმო სიტყვაში, სიქსტეს კაპელაში, ქართული კონცერტის დაწყებამდე...

უდიდესი წარმატება და გამარჯვება! ასე ამაყი, დიდი ხანია, არ ვყოფილვარ! სიქსტეს კაპელაში, დღეს, საქართველოს ტრიუმფი ჟღერდა!

დღეს, სიქსტის კაპელაში, მიქელანჯელოს მიერ მოხატულ თაღებქვეშ აჟღერებული ქართული „კირიეელეისონი“ ესმოდა ხანძთის დიდებულ ნანგრევებს, მეომარივით მედგრად წამომართული ოშკის გუმბათს, წართმეულ ათასწლოვან ათონის ივერონის კედლებს, შოთა რუსთაველის დაობლებულ ფრესკას იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, ბაკურიანისძის პეტრიწონის ქართულ აკლდამებს, ნაფოტებად ქცეულ ღალიის მშვენიერ ეკლესიას... ესმოდათ იმის დასტურად, რომ მიუხედავად არაერთი რბევისა, ნგრევისა თუ აოხრებისა, მაინც არ გადავშენდით, მაინც ამაყად ვდგავართ და მსოფლიოს საკაცობრიო საგანძურის მცველებად შემოვრჩით“.

ბოლო ვახშამი ბაფეტთან აუქციონზე გაიყიდა

ერთმა იღბლიანმა და, როგორც ჩანს, ძალიან მდიდარმა ადამიანმა 19 მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადა უორენ ბაფეტთან 21-ე და უკანასკნელ ვახშამში. ვაჭრობა eBay-ს აუქციონზე გაიმართა და შედეგმა წინა რეკორდს – 4.57 მილიონს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. 2019 წელს, ცნობილ ბიზნესმენთან და ფილანტროპთან ვახშამში, ეს თანხა გაიღო კრიპტოვალუტით მოვაჭრემ, ჯასტინ სანმა. აუქციონიდან მიღებული შემოსავალი სან-ფრანცისკოს არაკომერციული ორგანიზაციის ფონდში გადაირიცხა, რომელიც ღატაკებს, უსახლკაროებსა და იმ ადამიანებს ეხმარება, რომლებიც ფსიქოაქტიური ნივთიერებების ჭარბ მოხმარებას ებრძვიან. ფონდი Glide მათ სთავაზობს კვებას, თავშესაფარს, ტესტებს აივ-სა და ცე-ჰეპატიტზე, პროფესიულ სწავლებასა და საბავშვო პროგრამებს.

91 წლის ბაფეტმა, რომელიც კომპანია Berkshire Hathaway-ის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორია, 2002 წელს, ფონდში, ასევე აუქციონის წყალობით, 53.2 მილიონი დოლარი შეიტანა. eBay-ს წარმომადგენლების თქმით, ბაფეტთან ვახშამი ყველაზე ძვირადღირებული ლოტი იყო, რაც კი ქველმოქმედების მიზნით წარმოუდგენიათ კომპანიის საიტზე. დღევანდელი მონაცემებით, უორენ ბაფეტი პლანეტის უმდიდრესი ადამიანების სიაში, ილონ მასკის, ჯეფ ბეზოსის, ბერნარ არნოსა და ბილ გეითსის შემდეგ, მეხუთე ადგილზეა.

Internet Explorer-ს დაკრძალვა მოუწყო

სამხრეთ კორეელ ინჟინერ-პროგრამისტ იუნგ კი იონს იმდენად დასწყვიტა გული Microsoft-ის გადაწყვეტილებამ Internet Explorer-თვის მხარდაჭერის შეწყვეტაზე, რომ ბრაუზერის დაკრძალვის მოწყობა განიზრახა. საამისოდ მან ერთი თვე და 330 დოლარი დახარჯა. ფული საფლავის ქვის ესკიზის შექმნასა და მის დამზადებას დასჭირდა. "ის კარგი საშუალება იყო სხვა ბრაუზერების გადმოსაწერად" – ასეთია ინგლისურენოვანი წარწერა საფლავის ქვაზე. იუნგ კიმ Internet Explorer-ის "საფლავი" თავისი ძმის კაფეს ტერიტორიაზე მოაწყო. სოციალურ ქსელში ატვირთული ფოტოები კი უსწრაფესად გავრცელდა.

ინჟინრის თქმით, ამ "დაკრძალვით" გახუმრება და ადამიანების კარგ ხასიათზე დაყენება სურდა, თუმცა ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ხუმრობა ასეთ მასშტაბურ ხასიათს მიიღებდა. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რისთვისაც Internet Explorer-ს მადლობა მინდა გადავუხადო, – აცხადებს კორეელი პროგრამისტი. ბრაუზერის გაუქმების გადაწყვეტილება Microsoft-მა მისი 27-წლიანი მუშაობის შემდეგ მიიღო.

ილონ მასკს შვილი აუჯანყდა

პლანეტის უმდიდრესი ადამიანის, ილონ მასკის 18 წლის ვაჟმა სქესის შეცვლა და მამის გვარზე უარის თქმა გადაწყვიტა. "მე აღარ ვცხოვრობ ჩემს ბიოლოგიურ მამასთან და არ მსურს, მასთან რამე მაკავშირებდეს", – განაცხადა ქსავიე ალექსანდერ მასკმა. მან განცხადება უკვე შეიტანა და სურს ვივიენ ჯენა უილსონი დაირქვას. მასკი დედამისზე, კანადელ მწერალ ჯასტინ უილსონზე 2000 წელს დაქორწინდა და მასთან ექვსი შვილი ჰყავს. ისინი ერთმანეთს 2008 წელს დაშორდნენ. უცნობია, მიიღებს თუ არა კვლავ ქსავიე მამისგან ფინანსურ დახმარებას და აპირებს თუ არა მასზე უარის თქმას. როგორც მედია წერს, ტრანსგენდერი ვაჟის ასეთი გადაწყვეტილება მასკის ტრანსფობიურ გამონათქვამებს უნდა უკავშირდებოდეს.

მოახლე პარლამენტარი გახდა

ხუთშვილიანი რაშელ კეკე, პირველი შავკანიანი მოახლეა, რომელმაც დეპუტატის სავარძლის დაკავება შეძლო საფრანგეთის პარლამენტში – ეროვნულ კრებაში. საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში, 47 წლის კეკე, რომელიც წარმოშობით კოტ დივუარიდანაა, მემარცხენე პარტიას წარმოადგენდა პარიზის ილ-დე-ფრანსის რეგიონში. მან მმართველი პარტიის წარმომადგნელს, სპორტის ექს-მინისტრს, როქსანა მარსინიანოს აჯობა. მრავალშვილიანმა მოახლემ ამომრჩევლებში პოპულარობა 2019-21 წლებში მოიპოვა, როცა პარიზის სასტუმრო Ibis Batignolles-ის თანამშრომლების გაფიცვებში მონაწილეობდა.

ლატარეაში ოცნების სახლი მოიგო

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა, 71 წლის სიუზან ჰევენჰეიდმა ოცნების სახლი მოიგო. მან 10 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ლატარიის ბილეთი იყიდა და მდიდრული ვილის მფლობელი გახდა, რომელიც 3.5 მილიონ გირვანქადაა შეაფსებული. სუზანა მეუღლესთან ერთად დასასვენებლად იყო, როცა დაურეკეს და მოგების შესახებ შეატყობინეს. თავიდან, ყველაფერი ეს, ცოლ-ქმარს ხუმრობა ეგონა, თუმცა როდესაც ორგანიზატორები მათ ქალიშვილს დაუკავშირდნენ და შვილისგანაც იგივე მოისმინეს, პენსიონერი მეუღლეები დარწმუნდნენ, რომ ბედმა წარმოუდგენლად გაუღიმათ.

კერძო სახლში, რომლის ფართობი 929 კვადრატული მეტრია, ავეჯით გაწყობილი ექვსი საძინებელია. სახლშია სავარჯიშო დარბაზი, საუნა და კინოთეატრი. მიწის ნაკვეთზე კი, რომელიც ერთი ჰექტარია, ჩოგბურთის კორტი და აუზია განთავსებული. გარდა ამისა, დასასვენებელ ზონაშია კერძო ტყე – პატარა გუბურითა და ჩანჩქერით. უძრავი ქონების ახალ მფლობელებს მოგებული სახლისთვის არც გადასახდების გადახდა მოუწევთ – ყველა ხარჯი გათამაშების ორგანიზატორმა კომპანიამ დაფარა. სახლთან ერთად, გამარჯვებულს ხელზე 50 ათასი გირვანქა სტერლინგიც გადაეცა, ახალ ადგილზე დასამკვიდრებლად. სუზანს უფლება აქვს, უძრავი ქონება ნებისმიერი სახით მოიხმაროს – იცხოვროს, გაყიდოს ან გააქირაოს.

ქსელში შეურაცხყოფისთვის დააპატიმრებენ

იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც პატიმრობას ითვალისწინებს მოქალაქეებისთვის, რომლებიც სოციალურ ქსელში, მომხმარებელს შეურაცხყოფას მიაყენებენ. ამ მხრივ, კანონის გამკაცრება კიბერ-ბულინგის ზრდასა და ამ მიზეზით, ერთ-ერთი რეალითი-შოუს ვარსკვლავის სუიციდს უკავშირდება, რამაც საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შესწორება კანონში, რომელიც უკვე ამ ზაფხულიდან შევა ძალაში, 12 თვემდე პატიმრობას, ან ჯარიმას – 2 200 აშშ დოლარამდე ითვალისწინებს. ჯერჯერობით, მოქმედი კანონით, სასჯელი 30 დღემდე პატიმრობა ან 75-დოლარიანი ჯარიმაა.

უფროსს ფეხსაცმლის კრიტიკის გამო უჩივლა

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებმა, სამანტა ჯექსონმა საკუთარ უფროსს, კრისტი შერბენს უჩივლა და კომპენსაციის სახით, მისგან 12 ათას გირვანქა სტერლინგს (დაახლოებით, 14 831 აშშ დოლარი) მიიღებს. ხელმძღვანელობას არ მოსწონდა სამანტას ნარინჯისფერი სპორტული ფეხსაცმელი – "ბოტასები", რომლითაც ის სამსახურში, მაღაზიაში დადიოდა. უფროსმა არაერთხელ დაუწუნა ფეხსაცმელი, მაგრამ ჯექსონმა აუხსნა, რომ იძულებული იყო, ბოტასი ჩაეცვა, რადგან მუხლი აწუხებდა. მაღაზიაში კი, მას მთელი დღე ფეხზე დგომა უწევდა.

სამანტას თქმით, ბოლოს და ბოლოს, გაუთავებელი კრიტიკის გამო, იძულებული გახდა, სტრესის დასაძლევად, უხელფასო შვებულებაში გასულიყო, ხოლო მოგვიანებით, სამსახურიდანაც წასულიყო. "მაღაზიის მენეჯერს არ აქვს არავითარი საპატიო მიზეზი, ასე მოექცეს თანამშრომელს", – აი, ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა მოსამართლემ და კრისტი შერბენს სოლიდური კომპენსაციის გადახდაც დააკისრა.

ჯიბის ტუალეტი იაპონელებისგან

ნოვატორების გამოგონებებს, ამომავალი მზის ქვეყნიდან, მსოფლიოში ბადალი არ ჰყავთ. ეს იმიტომ, რომ სხვებს არასდროს მოუვათ თავში იმის შექმნა, რასაც ისინი აკეთებენ. ამჯერად, იაპონელებმა ჯიბის ტუალეტი წარადგინეს. Pocketoilet დაგეხმარებათ იქ, სადაც არ არის ჩვეულებრივი საპირფარეშო. მით უმეტეს, რომ ზომების გამო (სიმაღლე – 7 სმ და სიგანე – 6.5 სმ), ის ადვილად ჩაგეტევათ ჯიბეში. მისი მწარმოებელი კომპანიის ხელმძღვანელს ამ მიკრო-ტუალეტის შექმნის იდეა 2019 წელს გაუჩნდა, როცა ქალაქ ნაგანოში, სტიქიისგან დაზარალებულ მოსახლეობას, ტუალეტის უზარმაზარ რიგში ჩამდგარს ხედავდა. პირველი Pocketoilet კომპანიამ საცდელად ორი წლის წინ გამოუშვა. ის გამძლე ცელოფნისგან და კოაგულანტის პაკეტისგან შედგება და მისი მიმაგრება ნაგვის ვედროზეც შეიძლება. მომხმარებელს სუნზე შეუძლია არც იფიქროს, ის ნამდვილად არ შეაწუხებთ. ამ სასარგებლო გამოგონების გაყიდვები ყოველდღიურად იზრდება, რადგან არავინ იცის, ბუნებრივი მოთხოვნილება სად და რა ვითარებაში შეაწუხებს ადამიანს.

მურატოვმა ნობელიანტის მედალი გაყიდა

რუსული "ნოვაია გაზეტას" მთავარმა რედაქტორმა, დმიტრი მურატოვმა საკუთარი ნობელის მედალი რეკორდულ ფასად – 103.5 მილიონ დოლარად გაყიდა. მურატოვმა ნობელის მშვიდობის პრემია 2021 წელს მიიღო. თვის დასაწყისში, მან მედალი აუქციონზე გაიტანა გასაყიდად, რათა მიღებული თანხა გაეროს ბავშვთა ფონდში, ლტოლვილი უკრაინელი პატარების დასახმარებლად გადაერიცხა.

"მინდა, ეს ერთგვარი "ფლეშმობის" დასაწყისი გახდეს, რათა ადამიანებმა მომბაძონ და გაყიდონ ფასეული ნივთი უკრაინის დასახმარებლად", – განაცხადა მურატოვმა. ცნობილია, რომ აქამდე, ყველაზე ძვირად ჯეიმს უოტსონის ნობელის მედალი გაიყიდა, რომელიც მან 1962 წელს, დნმ-ის სტრუქტურის აღმოჩენისთვის მიიღო. 2014 წელს, მან ის 4.7 მილიონ დოლარად გაყიდა.

სპეციალური ნაყინი ძაღლებისთვის

ნისლიან ალბიონზე, ზაფხულის ცხელი დღეების „გადასაგორებლად“, ოთხფეხა მეგობრებისთვის სპეციალური ნაყინი შექმნეს. გამოცემა „მირორის“ ცნობით, ძაღლებისთვის განკუთვნილი ცივი დესერტი მცენარეული ცხიმებისგანაა დამზადებული და მისი მიღება ცხოველებისთვის საზიანო სულაც არაა. როგორც ბრიტანული ტაბლოიდი წერს, ვანილისა და ვაშლის ნაყინი კომპანია „ალდიმ“ გამოუშვა. ამ გამაგრილებელი საკვების ღირებულება 2.99 გირვანქა სტერლინგია.

საპატარძლო კაბა ღვინით

38 წლის პატარძალმა დიდი ბრიტანეთიდან, კელი მაკმილანმა ქორწილში მეტად ექსტრავაგანტური კაბა ჩაიცვა, რომელზეც ღვინის 50 ბოკალი იყო განთავსებული – შუშხუნა "პროსეკოთი". სასმელიანი ჭიქები სპეციალურ კარკასზე იყო დამაგრებული, რომელიც ედინბურგელმა მჭედელმა ხელით გამოჭედა. იმის გამო, რომ ეს დასამაგრებელი საკმაოდ მძიმე, 30-კილოგრამიანი იყო, პატარძალი ცეკვას კი არა, სიარულსაც ვერ ახერხებდა, ამიტომ უკანა ნაწილში, კარკასს სპეციალური "გამოსაძრომი" ჰქონდა. მაკმილანის თქმით, ასეთი მიდგომით, სტუმრებისთვის შუშხუნა ღვინოს მირთმევა გაცილებით საინტერესო იყო, ვიდრე უბრალოდ, მაგიდაზე სასმელით სავსე ბოკალების დალაგება.

ქლიავი – უნიკალური სუპერპროდუქტი



ექსპერტები აშშ-დან გვირჩევენ, აუცილებლად ჩავრთოთ ჩვენს რაციონში შავი ქლიავი, რომელიც ანტიოქსიდანტების მაღალი კონცენტრაციით გამორჩევა. მთლიანობაში, ეს ხილი ხელს უწყობს საკვების მონელების ჯანსაღ პროცესს, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს, ეხმარება ორგანიზმს ინფექციებთან და სიმსივნესთან ბრძოლაში. გარდა ამისა, ქლიავი აწესრიგებს სისხლის შედედების პროცესსაც და სასარგებლოა დიაბეტით დაავადებულთათვისაც, რადგან სისხლში შაქრის სტაბილური დონის შენარჩუნებას უწყობს ხელს. სპეციალისტები გვირჩევენ, ყოველდღიურად, 2-3 ცალი შავი ქლიავი მაინც მივირთვათ. ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, ამ ხილის ჩირი, რომელიც დიდი რაოდენობით პოლიფენოლებს შეიცავს, ორგანიზმს ნაწლავების კიბოსთან ბრძოლაში ეხმარება – ხელს უშლის საშიში წარმონაქმნების განვითარებას.

ქუჩაში ჭამისთვის დაჯარიმებენ

აპენინებზე, ფლორენციაში, ქუჩაში ჭამა აკრძალეს. ახალი კანონის თანახმად, ტურისტები და ადგილობრივებიც კი, რომლებიც ქალაქის ცენტრში, ტროტუარებზე, სახლების, მაღაზიებისა და ეკლესიების კიბეებზე წაიხემსებენ, 500 ევროთი დაჯარიმდებიან. აკრძალვა მოქმედებს დღისით – 12.00-დან 15.00 საათამდე და საღამოს – 18.00-დან 22.00 საათამდე ანუ იტალიაში, ტრადიციული სადილობისა და ვახშმობის დროს. ასეთი კანონი იმიტომ მიიღეს, რომ ამ ძველი ქალაქის ცენტრში არ არსებობს ადგილები, სადაც დაჯდომა და ჭამა შეიძლება, ამიტომ ტურისტები წახემსებისას, ხშირად, ფლორენციის მაღაზიების კიბეებს იყენებენ, რითაც მათი მფლობელების უკმაყოფილებას იწვევენ.

პოლიციელებს ფართოდ გაღიმება აუკრძალეს

ბოლო დროის ინდოეთის ხელისუფლებას შიშები გაუჩნდა პოლიციელების მხრიდან გამოხატული გადაჭარბებული კეთილგანწყობის გამო, რასაც ისინი ადგილობრივ აეროპორტებში იჩენენ. ამის გამო, გამოსცეს ახალი განკარგულება, რომლის მიხედვითაც, „ფართო ღიმილი“ „ზომიერით“ უნდა შეცვალონ. ინდოეთის სამრეწველო უსაფრთხოების ცენტრალური ძალების ხელმძღვანელობას, რომელიც აეროპორტებისა და ფრენების უსაფრთხოებაზე აგებს პასუხს, სურს, რომ მისი თანამშრომლები უფრო ყურადღებიანები და დაკვირვებულები იყვნენ, ვიდრე – კეთილგანწყობილები.

„მარტოობის უჯრედები“ აღმოაჩინეს



ამერიკელმა სწავლულებმა, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტიდან, ადამიანის თავის ტვინის უკანა ნაწილში აღმოაჩინეს უჯრედები, რომლებიც მარტოობის განცდას არეგულირებენ. როგორც გაირკვა, ურთიერთობების ნაკლებობის დროს, ეს უჯრედები მნიშვნელოვნად აქტიურდებიან. სპეციალისტებმა ეს აღმოჩენა თაგვებზე ჩატარებული ცდებისას გააკეთეს, რომელთა ტვინის ქიმიური შემადგენლობაც ახლოსაა ადამიანის ტვინთან.

ცდებისას, მკვლევარებმა მღრღნელები სამ ჯგუფად დაყვეს – პირველი მათგანი ცალკე ცხოვრობდა და ნარკოტიკულ საშუალებებს იღებდა, მეორე ჯგუფის წევრები ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ პრეპარატებს არ აძლევდნენ, მესამე ჯგუფი კი ცალ-ცალკე გალიებში იყვნენ და პრეპარატებს არ იღებდნენ. გარკვეული დროის შემდეგ, იზოლირებული თაგვები სხვა ჯგუფებში გადაიყვანეს. სწორედ ამ დროს დააფიქსირეს სწავლულებმა ტვინის აქამდე, ნაკლებად შესწავლილ უბანზე ნეირონული კავშირის ცვლილებები.

„მიცვალებული“ მორგიდან წვეულებაზე დაბრუნდა

პოლონეთის სამართალდამცავი ორგანოები იშვიათ ინციდენტს იძიებენ – მთვრალი მამაკაცი, რომელსაც სიკვდილი დაუდგინდა, მორგში „გაცოცხლდა“ და გასართობად კვლავ წვეულებაზე დაბრუნდა. ქალაქ სემიანოვიცე-სლენსკში, გამვლელებმა შენიშნეს მამაკაცი, რომელიც უგონოდ იწვა ქუჩაში. ადგილზე გამოძახებულმა სასწრაფოს ექიმმა დაასკვნა, რომ ალკოჰოლური ინტოქსიკაციის შედეგად, ის უკვე გარდაცვლილი იყო, რის გამოც 31 წლის ქშიშტოფ ნოვაკი ადგილობრივ მორგში გადაიყვანეს. შუაღამისას, დაწესებულების დარაჯს კვნესისა და კაკუნის ხმები შემოესმა და როდესაც მორგის ერთ-ერთი „უჯრა“ გამოაღო, ლამის, შოკში ჩავარდა – აკანკალებული მამაკაცი პლედს ითხოვდა. „მკვდრეთით აღმდგარმა“ და უკვე გამთბარმა ნოვაკმა უარი განაცხადა ჰოსპიტალიზაციაზე და კვლავ მეგობრებთან, წვეულებაზე დაბრუნდა. მედიკოსს კი, რომელმაც ასეთი არაპროფესიონალიზმი გამოავლინა, სასამართლო სხდომები ელის.

უმი ხორცით განიკურნა

აშშ-ში, კენტუკის შტატში მცხოვრები, დერეკ ნენსი სრულიად არაჩვეულებრივი ადამიანია. საქმე ისაა, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, მამაკაცი მხოლოდ და მხოლოდ უმი ხორცით იკვებება. უფრო მეტიც – ის კბილებსაც ცხოველური ცხიმით იწმენდს. ამ ყველაფრის მიზეზი მისი ამოუცნობი დაავადებაა, რომელიც ექვსიოდე წლის წინ შეეყარა. ამ დაავადების გამო, რაც უნდა ეჭამა დერეკს, მის ორგანიზმზე ცუდად ისახებოდა – ხშირად ავადმყოფობდა, წონაშიც საგრძნობლად დაიკლო და ვეღარ იმატებდა. თავიდან ექიმები ფიქრობდნენ, რომ მას რომელიღაც საკვებზე ალერგია ჰქონდა, მაგრამ მკურნალობამ ვერ უშველა. მამაკაცმა გადაწყვიტა, მხოლოდ რძის პროდუქტები ეჭამა, მერე ხორბალზე გადავიდა, მხოლოდ სუპებსა და ბულიონზეც იყო, ლამის, ყველანაირი დიეტა მოსინჯა, მაგრამ უშედეგოდ.

როდესაც დერეკმა განკურნების იმედი დაკარგა, სწორედ მაშინ გაახსენდა ერთ-ერთი ნაცნობის რჩევა, რომელმაც დიდი ხნის წინ, „გამოქვაბულის ადამიანის“ დიეტა შესთავაზა. „იმდენ ხანს ვიყავი ავად, რომ უკვე ყველაფერზე წასვლა შემეძლო, ოღონდ კი ეს სენი როგორმე დამემარცხებინა“, – ამბობს დერეკ ნენსი. სახლის ეზოში მას რამდენიმე თხა ჰყავდა, რომლებსაც დილაობით წველიდა და რძეს სვამდა. ერთ დღესაც მობეზრდა ამის კეთება, თხები დაკლა და რამდენიმე დღეში, უმად შეჭამა. როგორც დერეკი ამბობს, თავიდან გემო არ მოეწონა, მაგრამ მერე უკვე უმ ხორცზე „შეჯდა“. აგერ უკვე ხუთი წელია, უცნაურ სენს დაემშვიდობა, ტკივილები აღარ აწუხებს და წონაშიც მოიმატა.

კატის ნეკროლოგი – პირველ გვერდზე

იტალიაში, ერთ-ერთი გაზეთის პირველ გვერდზე, კატის ნეკროლოგი დაიბეჭდა. ასეთი პუბლიკაცია შეკვეთის მიმცემს 30 ათასი ევრო დაუჯდა. ინფორმაციის გარდა, რომელშიც საყვარელი ოთხფეხა ცხოველის გარდაცვალებას იუწყებიან, კატის, სახელად "ეროსის" დიდი ფოტო და ერთ-ერთი ცნობილი იტალიელი მომღერლის სიმღერიდან ციტატა დაიბეჭდა. თუმცა, არ არის მითითებული, რა გახდა ფისოს გარდაცვალების მიზეზი. ბევრმა ადამიანმა გააკრიტიკა ასეთი პუბლიკაცია. ამ მკვეთრი რეაქციის მიზეზი ის არის, რომ ამ უჩვეულო ნაბიჯმა, საშუალო შემოსავლის მქონე ბევრი აპენინელი გააღიზიანა. კრიტიკოსების ნაწილმა ისიც განაცხადა, რომ შესაძლოა, ეს პუბლიკაცია ვირუსული რეკლამის ერთ-ერთ სახეობად იქცეს. თავად გაზეთის რედაქცია კი მოვლენის კომენტარისგან თავს იკავებს.

პაციენტი ტომოგრაფიის აპარატმა "შეიწოვა"

შემთხვევა ინდოეთში, ქალაქ მუმბაიში მოხდა. მამაკაცი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის აპარატმა "შეიწოვა", რის გამოც გარდაიცვალა. საავადმყოფოს პაციენტი, რაჯეშ მარუ ტომოგრაფიული კვლევის კაბინეტში ჟანგბადის მეტალის ბალონით შევიდა. სკანერის ძლიერი მაგნიტური ველის გამო, აპარატმა ის მაშინვე შიგნით შეათრია. აპარატი დაუყოვნებლივ გამორთეს და ავადმყოფი გამოიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს – მიღებული ტრავმების გამო, ის ათ წუთში გარდაიცვალა. როგორც მარუს ახლობლები აცხადებენ, სამედიცინო დაწესებულების პერსონალმა ისინი დაარწმუნა, რომ ტომოგრაფიის აპარატი გამორთული იყო და კაბინეტში შესვლა უსაფრთხოდ შეეძლოთ. მომხდარს სამართალდამცავები იძიებენ, საქმე აღძრულია საავადმყოფოს რამდენიმე თანამშრომლის მიმართ.

ჰოსპიტალი კოსმოსში

არაბთა გაერთიანებული საემიროების ჯანდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ მსოფლიოში პირველ კოსმოსურ ჰოპიტალს – Emirates Space Hospital ააშენებენ. პროექტი საემიროების ეროვნული კოსმოსური პროექტის ნაწილი გახდება. კოსმონავტებს სამედიცინო დახმარებას, თუ მკურნალობას კოსმოსში გაუწევენ, მაგრამ ეს ყველაფერი დედამიწიდან, ნანოტექნოლოგიების დახმარებით გაკონტროლდება, – განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა, – ტელემედიცინას მხოლოდ ჰოსპიტალში კი არა, კოსმოსშიც გამოიყენებენ. პროექტი მარსზე, საემიროების კოსმოსურ მისიასთან ერთად ამოქმედდება, რომლის დაწყებაც 2023 წლისთვისაა დაგეგმილი. მანამდე, კოსმოსური ჰოსპიტლის პროექტს დედამიწაზე გამოსცდიან.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.